# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 4 სექტემბერი, 2013 წელი.

№168 (7295)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## კოკაინის საქმე

### დათა ახალაიას მილიონ 700 ათასი ევროს მითვისებას ედავებიან

4

## საქართველოს ციკლონი უახლოვდება

**საქართველოში** 4 სექტემბერს ამინდის მკვეთრ გაუარესებას პროგნოზირებენ. აღნიშნულთან დაკავშირებით გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროები ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ, რომელშიც ყველა მუნიციპალიტეტს უსაფრთხოების მაქსიმალური ზომების მიღებისკენ მოუწოდებენ.

— საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 4 სექტემბრის დღის მეორე ნახევრიდან საქართველოს ტერიტორიაზე, შავი ზღვის მხრიდან გავრცელებას იწყებს ბალტიის ზღვიდან გადმონაცვლებული ციკლონი და მასთან დაკავშირებული შედარებით ცივი და ნოტიო ჰაერის მასები. აღნიშნული სინოპტიკური პროცესი გაგრძელდება 5 სექტემბრის გვიან საღამომდე და გამოიწვევს დასავლეთის მიმართულების ქარის გაძლიერებას, ჰაერის ტემპერატურის მკვეთრ დაწევას, ძლიერ, დასავლეთ საქართველოში ზოგან ძალიან ძლიერ წვიმებს, ზოგან სეტყვას, ზღვის ძლიერ ღელვას და ცალკეულ მდინარეებზე ძლიერ წყალმოვარდნებს, გააქტიურდება ღვარცოფი და მეწყერსაშიში უბნები. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გააფრთხილა ყველა მუნიციპალიტეტი, მიიღონ უსაფრთხოების მაქსიმალური ზომები, მოახდინონ ადგილობრივი რესურსების მობილიზაცია, რათა უამინდობას მომზადებულები შეხვდნენ, — ნათქვამია განცხადებაში.

## მარგველაშვილი ისტორიაში დარჩება პერსონად, რომელმაც „ნაციონალური მოძრაობის“ სისხლიანი ეპოქა დაასრულა

3

## იაშვილის კლინიკაში იძულებითი მმართველი შევა?

4

## რუსეთმა საქართველო ყურძენზე უჩვეულო მოთხოვნით უზრუნველყო

8

## იაკობის „დედაენის“ პატრონნი რას ვეძებთ?

5

## კალათბურთი

## „ევრო – 2013“ დაიწყო

10




## უსამართლო ტარიფების ქვეყანა

11

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

◎ ინტერნეტიდან

**მინარეთის გარშემო ატეხილი ამბავი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება სუპერტოლერანტობის თავგადაკლული „ძაან პრადვინუტი“ მომხრეები სათავისოდ გამოიყენოს ძალიან არატოლერანტულმა და შავბნელმა ძალამ, წერს შალვა რამიშვილი ფეისბუქში.**

**და აი, კომენტარებიც:**

„მინარეთის გარშემო ატეხილი ამბავი ნათელი მაგალითია იმისა, რომ ხადური საბოტაჟნიკია“...

„როცა კარიკატურებს ხატავდნენ მუჰამედზე და ათას სისაძაგლეს წერდნენ ყურანზე, მეც აღვშფოთდი, რადგან მიუღებლად მიმაჩნია რწმენის შეურაცხყოფა. მაგრამ ახლა მართლმადიდებლობის ციტადელის – საქართველოს ტერიტორიაზე დილით მოლების ყვირილმა (არ ვიცი რა დავარქვა, გალობას ვერ დავარქმევ) გამოაღვიძოს ხალხი, ამას ვერ დავუშვებთ! მუსლიმანებს მსოფლიოში საკმარისი სივრცე აქვთ, წავიდნენ და იქ დადგან მინარეთები“!

„რა თქმა უნდა, ამ რელიგიური და ეთნიკური შუღლის გაღვივების ინიციატორი ნაცმოძი და მის დაქვემდებარებაში მყოფი ლიფსიტა ორგანიზაციები. ერთი გადახედეთ ჟურნალ „ტაბულას“, არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ საიტსა და მისი მესვეურების პირად გვერდებს. საქართველო შერაცხა ჩერგოლეიშვილ-ბოკერიას საძმომ ისლამოფობიით შეპყრობილ და ყველაზე არატოლერანტულ ქვეყნად. ანდერს ბრეივიკის, დანიურ ჟურნალ „ჟილენ პოსტენში“ დაბეჭდილი მუჰამედის 12 სერიად დაყოფილი კარიკატურების, ერაყში ასი ათასობით გაწყვეტილი მუსლიმის, საფრანგეთში ჩადრებით სიარულისა და საჯარო ლოცვების აკრძალვების მერე თურმე ჩვენ ვყოფილვართ ყველაზე ისლამოფობი ქვეყანა. მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში არსებულ და გაბატონებულ ისლამოფობიაზე მილიონობით ფაქტი არსებობს და ტომები შეიძლება დაიწეროს და უკაცრავად, ჩერგოლეიშვილი, ბოკერია და მათ ფრთებქვეშ დაფრთიანებული გველის წიწილები უნდა მიგვითითებდნენ რამეზე“?

„ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ვინმემ დამარწმუნოს, რომ მინარეთის დანგრევა საშინელი დანაშაულია.. .იქნებ დავრთოთ ნება და ყველგან ავაშენებინოთ მეჩეთები კომფორტულად რომ იგრძნონ მუსლიმებმა თავი“...

„ღმერთის წყალობით და საქართველოს მოსახლეობის გონივრული გადაწყვეტილებით, ოქტომბერში დადგება ის დღე, როცა ეს უზნეო ნაცები საუკუნოდ შეუერთდებიან ისტორიულ სანაგვეს“.

„სუპერტოლერანტობა როგორია“?

„ტოლერანტები კი არა, დებილები ვართ“.

„აუ, რამდენს უძლებს ეს ქვეყანა და ხალხი, ერთ დაუდევრობას, თუ მოფიქრებულ პროვოკაციას მედია აღვივებს და აღვივებს, სხვებზე რომ არ ვთქვა, მაესტრო დღის ოთხ გამოშვებაში 20 წუთს ტვინს რეცხავს. „პრადვინუტების“ გასაგონად –არაფერი გამოგივათ, ეგეთებისთვის გაგვიძლია“.....

„ეროვნული ტელევიზიებიდან ერთ-ერთ-ორ-სამ-ოთხ-ხუთ-ექვსი ტელეარხი ეროვნულ ინტერესებზე ფიქრობს, ეროვნულ ინტერესებზე ფიქრობ, ეროვნულ ინტერესებზე ფიქრობ, ეროვნულ ინტერესებზე ფიქრობ

◎ წინ არჩევნებია

# მარგველაშვილი ისტორიაში დარჩება პერსონად, რომელმაც „ნაციონალური მოძრაობის“ სისხლიანი ეპოქა დაასრულა

**ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უკვე 43 საპრეზიდენტო კანდიდატის განცხადებაა შესული, თუმცა ოფიციალურად 2 კანდიდატი — შალვა ნათელაშვილი და მიხეილ (გელა) სალუაშვილია დარეგისტრირებული. ცესკო-ში საპრეზიდენტო კანდიდატების წარდგენისათვის ბოლო ვადა 7 სექტემბერია. ხოლო 27 სექტემბერს, არჩევნებიდან ერთი თვით ადრე, დასრულდება საპრეზიდენტო კანდიდატების რეგისტრაციის პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ ოფიცილურად რეგისტრირებული არ არიან, წინასაარჩევნო კამპანია უკვე დაწყებული აქვთ კანდიდატებს.**

**მიუხედავად იმისა, რომ ეს არჩევნები საბედისწერო არაა ქართველი ამომრჩევლისათვის, ფილოსოფოსი ზაზა შათირიშვილი for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანია ძირითადად რადიკალიზმზე და პოზიტივზეა აგებული.**

**— პრეზიდენტობის მსურველთა უპრეცედენტოდ მაღალი რაოდენობა დაფიქსირდა. არიან ისეთი კანდიდატები რომელთა შესახებ მოსახლეობამ პრაქტიკულად არაფერი იცის, მაგრამ ამის მიუხედავად, აქვთ პრეტენზია, რომ იყვნენ საქართველოს პრეზიდენტი. რა მოტივაცია აქვთ ამ ადამიანებს?**

— მე ვიტყოდი, რომ მოტივაცია სხვადასხვანაირია. კანდიდატთა წარდგენის საკმაოდ ლიბერალური კანონი გვაქვს. მაგალითად, ამერიკაში არც თუ იოლია კანდიდატთა წარდგენა, კანონი, ამ მხრივ, ძალიან მკაცრია. ჩვენთან კანონი ლიბერალურია და, აქიდან გამომდინარე, ბევრს შეუძლია პრეზიდენტად წარადგინოს თავი, ეს ნორმალური მომენტია.

წარმოდგენილი კანდიდატებიდან ბევრმა იცის, რომ პრეზიდენტი არ იქნება, მაგრამ მას აქვს ტრიბუნა, ქართველი ადამიანი ძირითადად ორიენტირებულია აუდიტორიაზე, აქიდან გამომდინარე, მათი მიზანია თავის გამოჩენა, პოპულარობა.

**— განსხვავებით წინა სხვა არჩევნებისგან კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიაში არ ჩანს მთავარი მესიჯები. ამის მიუხედავად, ვის რა თვისებებით გამოყოფდით?**

— დავით ბაქარძე — გამომდინარე „ნაციონალური მოძრაობის“ წარსულიდან, წარსულის ფიგურაა, არასერიოზული კანდიდატია. ძალიან სერიოზული კანდიდატია სალომე ზურაბიშვილი, რადგან ზურაბიშვილის საკითხი არაა გადაწყვეტილი. რჩება ორი კანდიდატი — ბურჯანაძე და მარგველაშვილი. ამ აჩევნების მთელი ამბავი ის არის, რომ ახალ სიტუაციაში გვიხდება ყოფნა. შეიძლება ბევრმა არ იცის, ან არ აქცევს ყურადღებას, ეს არის ახალი კონსტიტუცია. ეს ახალი კონსტიტუცია „ქართულ ოცნებას“ არ დაუწერია, ეს იყო ის, რაც მას დახვდა. ახალი კონსტიტუციით პრეზიდენტის ინსტიტუტი არსებითად სხვა არის, ვიდრე მანამდე იყო.

ამ თვალსაზრისით, გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურას ძალიან ბევრი დადებითი მომენტი აქვს. ძალიან კარგად შეესაბამება ამ ახალ კონსტიტუციას, ანუ ის, რომ მარგველაშვილი არაა პარტიული და არაა პოლიტიკოსი, ძალიან კარგად ჯდება ამ მოდელში. ამ კონსტიტუციით პრეზიდენტს ორი მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს — ერთდროულად არის არბიტრი და ამავე დროს არის საზოგადოების ინტერესთა ჯგუფების ინტერესთა გამომხატველი.

რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, ის თავის თავზე იღებს რადიკალიზაციის ფუნქციას, ძალიან ბევრი ფაქტორის გამო. ამის უფლებას თავის თავს ვერ მისცემს გიორგი მარგველაშვილი.

**— ბურჯანაძის შემთხვევაში სად ჩანს ეს რადიკალიზმი?**

— ნინო ბურჯანაძე უფრო თავისუფალია თავის განცხადებებში. ის არაა ხელიუფლებაში და მას მეტი მანევრის საშუალება აქვს. ის გამოხატავს ელექტორატის გარკვეული ნაწილის პოზიციას.

მარგველაშვილის ყველაზე დიდი პლუსი ისაა, რომ ის ბიძინა ივანიშვილმა წარადგინა. ივანიშვილს აქვს ძალიან სერიოზული ლეგიტიმაცია და ძალიან სერიოზული რეიტინგი. ფაქტია, რომ გმირივით არის და რა დროც არ უნდა გავიდეს, ისტორიაში დარჩება პერსონად, რომელმაც „ნაციონალური მოძრაობის“ სისხლიანი ეპოქა დაასრულა. მე პირადად მგონია, რომ მარგველაშვილი პირველივე ტურში გაიმარჯვებს.

**— ზომიერებსა და რადიკალებს შორის დაახლოებით რა სხვაობა არის?**

— ეს გამოჩნდება არჩევნების შემდეგ — რამდენი მისცემს ხმას მარგველაშვილს და რამდენი ბურჯანაძეს. თუმცა, ერთი მომენტია მნიშვნელოვანი — ბოლო მომენტში რადიკალურად განწყობილი ელექტორატის გარკვეული ნაწილი, მაინც, ხმას მისცემს მარგველაშვილს.

**— რატომ მისცემენ მარგველაშვილს ხმას?**

— ივანიშვილის ფაქტორი თამაშობს გადამწყვეტ როლს. მე ასე მგონია. შეიძლება დღეს ადამიანი ფიქრობდეს სხვას, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ხმას მისცემს მარგველაშვილს... ალბათ, ასეც მოხდება.

**— ამომრჩევლებთან შეხვედრაზე ძირითადად წარსულ შეცდომებზე საუბრობს დავით ბაქრაძე, მის წინასაარჩევნო კამპანიაში არ ჩანს ახალი მესიჯები. მომგებიანია „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატისთვის ამ სახის კამპანია, თუ უბრალოდ შეგუებულია დამარცხებას?**

— „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დავით ბაქრაძის ფიგურა აირჩია იმიტომ, რომ ის არ აღიზიანებს მოსახლეობას. რაც, თითქოს, პლუსი უნდა ყოფილიყო. აბსოლუტურად უსახური კამპანია აქვს და არანაირი მესიჯი არაა. ის, რომ ყველაზე უფრო ნაკლებად გამაღიზიანებელი ადამიანი შეირჩა, ამან კარგად გამოაჩინა, რომ ის არაფერი არ არის და მისი სრული განულება მოხდა. არჩევნებში მონაწილეობას აზრი მაშინ აქვს, როცა არის რაღაცა ძალა და რაღაცა მესიჯი. „ნაციონალური მოძრაობის“ მხარეს არის ერთი რამ — სააკაშვილი არის პრეზიდენტი და ვიღაცას ადგილებზე რაღაცა შეუძლია. ეს რომ ჩამოვაცილოთ, „ნაციონალური მოძრაობა“ არაფერი არ არის. გარდა იმისა, რომ ეს არის ძალა, რომელსაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უყურებს როგორც დამნაშავე რეჟიმს, ლამის როგორც ნაცისტებს. ბაქრაძის კამპანიაში რაც კარგად ჩანს, არის ის, რომ ბოდიშებს იხდის მის წარსულთან დაკავშირებით. მარგველაშვილის ზომიერებისა და პოზიციების ფონზე ჩანს ბურჯანაძის რადიკალიზმი და ბაქრაძის სრული უსახურობა.

**— ბევრი ფიქრობს, რომ მეორე ტური გაიმართება. თუმცა, კვლევა რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ წარმოადგინა, საპირისპიროზე მეტყველებს.**

— მეორე ტურს გამოვრიცხავ. ჩემი ვარაუდი ასეთია — მარგველაშვილი პირველივე ტურში გაიმარჯვებს, ამაში დარწმუნებული ვარ. რაც შეეხება კვლევას, ესეც არის მაჩვენებელი პროცესის ნორმალიზაციის. არანორმალური იყო სწორედ ის 90% -95%-ით კანდიდატის არჩევა. ორიგინალური არ ვიქნები რასაც ვიტყვი, ეს არაა საბედისწერო, ყველაფერი ჩვეულერბივად, მშვიდობიანად ჩაივლის.

**— გამოითქვა მოსაზრება, რომ კანდიდატების სიმრავლემ შეიძლება გამოიწვიოს ნიჰილიზმი და შესაძლოა, დაფიქსირდეს ამომრჩევლების დაბალი აქტივობა...**

— დარწმუნებული ვარ, ხალხი მივა არჩევნებზე, მაგრამ წინა არჩევნებთან შედარებით, დაბალი აქტივობა იქნება, თუმცა, არა ისეთი, როგორც 2008 წლის საპარლამენტო და 2010 წლის მერის არჩევნები იყო.

თამთა ქარჩავა

◎ აფხაზეთისა და სამეგრელოს მხარე

## თორნიკე იზორია - პრეზიდენტობის კიდევ ერთი კანდიდატი

**საქართველოს პრეზიდენტობის მსურველთა სიას ზუგდიდელი 64 წლის ინჟინერ—მშენებელი თორნიკე იზორიაც დაემატა. არასამთავრობო ორგანიზაცია „მერმისმა“, რომლის წარმომადგენელიც არის თორნიკე იზორია, ის საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად წარადგინა. პირველი ეტაპი გავლილია, განცხადება ცესკოში შეტანილია. ამჟამად მიმდინარეობს ხელმოწერების შეგროვება.**

**თორნიკე იზორიას, რომელიც გარდა კომუნისტური პარტიისა, სხვა არცერთი პარტიის წევრი არ ყოფილა, იმედი აქვს, რომ მას, მის მეგობრებთან ერთად, მხარში დაუდგებიან იმ პროგრამის გამო, რომელიც მას აქვს, როგორც „ჩემი სამოქმედო პროგრამის ძირითადი პუნქტებია: უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ შესყიდული მიწების და სხვა ბუნებრივი რესურსის დაბრუნება და გადაცემა საქართველოს მოქალაქეებისათვის, საშუალო ფენის აღორძინება, უპოვართა და მიუსაფართა დახმარება და დაპურება, რუსეთთან კეთილ-მეზობლური კავშირ-ურთიერთობების აღდგენა, ნატოსა და ევროკავშირისადმი ჩვენი ქვეყნის ლტოლვის შეჩერება. მთავარია ნებისმიერმა პრეზიდენტობის კანდიდატმა ეს პუნქტები განახორციელოს, ჩავთვალი რომ ჩემი საქმე გაკეთებული მექნება.“ აღნიშნა თორნიკე იზორიამ.**

## ალექსანდრე ანქვაბი: აფხაზეთში პრივატიზებული ობიექტების 99 პროცენტი ჩვენს მოქალაქეებს ეკუთვნით

**აფხაზეთის პრეზიდენტს ალექსანდრე ანქვაბს პრესკონფერენციაზე ჟურნალისტები შეეკითხნენ აფხაზეთის საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციის შესახებ , სადაც მოქმედი ხელისუფლება დადანაშაულებულია პრივატიზაციის სფეროში არსებულ დარღვევათა გამო. „მე მეხსიერება თუ არ მღალატობს — 1999 წლიდან —2005 წლამდე აფხაზეთში იჯარით იქნა გაცემული 53 მსხვილი საკურორტო ობიექტი, მომდევნო წლებში კი 420-მდე სხვადასხვა ობიექტი. ასევე პრივატიზებულ იქნა არასტრატეგიული დანიშნულების ობიექტები. 90 % ამ პრივატიზებული ობიექტების მფლობელები არიან ჩვენი მოქალაქეები. თუ ვინმე იტყვის, რომ ალექსანდრე ანქვაბის მიერ პრივატიზებულია რომელიმე ობიექტი მაშინ მითხრან, რომელი, ან თუ ალექსანდრე ანქვაბი და მისი კოლეგები დაეხმარნენ ვინმეს, რომელიმე ობიექტის პრივატიზებაში თქვან, ვის დავეხმარეთ. თუ ეს არის პოლემიკის საგანი, მაშინ იყოს ასე, თუმცა არანაირი სარგებელი ამ პოლემიკიდან არ არის. თუ ამ თემის გამოყენება უნდათ პოლიტიკური მიზნით, ვიტყვი პირდაპირ, ვერავინ ვერ დააგროვებს დივიდენდებს. ამ თემის ავტორებს მივცემ რეკომენდაციას, თავიანთ გარშემო მიმოიხედონ, ვინ რომელი ობიექტის პრივატიზაცია მოახდინა და კიდევ ვის დაეხმარნენ ამ პრივატიზაციის პროცესში, — განაცხადა ალექსანდრე ანქვაბმა.**

ლადო ქირია,
ზუგდიდიდან

◎ კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

● ვაშა! პენსიამ 7.5%—ით გადააჭარბა საარსებო მინიმუმს!

ანუ მთელი ნ ლარით.

ხელისუფლების წარმომადგენლებო, თქვენ გეცოდინებათ კაი ჯიპი რა ღირს?

● თქვენ იჯღანავეთ და მაგარი ჭკვიანური სვლა გააკეთა სამოქალაქო სექტორში გადანაცვლებით ბიძინამ. როგორც კი ხელისუფლების რეიტინგი ვარდნას დაიწყებს, მაშინვე ფუკასავით ააცლის მთავარი ოპოზიციური ძალის მანტიას ნაციონალებს და თვითონ მოირგებს (დაბრუნდება პოლიტიკაში და ისევ გმირად მოგვევლინება, ჩემიანებსაც არ ვინდობო).

● მალე ბანკები ახალ განვადებას შემოგვთავაზებენ — სიგარეტზე.

● მოკლედ, „მოსვლა შენი ნება იყო, წასვლა ჩვენი ნებააო!“ - ისეა ბიძინა ივანიშვილის და საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის ამბავი! — უნდა გვიპატრონოს, აბა რავა! - ისმის მესიებზე შეყვარებული საზოგადოების იმპერატიული სურვილი...

თუმცა რა გასაკვირია, აქამდე ყველა მოსულის გადაგდებაზე ვიყავით ორიენტირებული და ნებით წამსვლელი ხელისუფალი შოკში გვაგდებს — „მიჩვეულს ნუ გადამაჩვევ და მიუჩვეველს ნუ მიმაჩვევ“ დევიზის თანახმად...

● საფრანგეთთან შესახვედრად ქეცბაიას ძიუდოისტები გამოუძახია...

● რა დროზე მომისწრო ამ ვაკანსიამ. მოკლედ, ვაკანსიაა პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე, არა და გუშინ ღამის დარაჯობასაც ვთანხმდებოდი, კი, ბედი მაქვს მაგარი.

● მივესალმები ბატონ ბიძინას გადაწყვეტილებას საჯარო პოლიტიკიდან წასვლაზე, რასაც სურვილის დონეზე ვწინასწარმეტყველებდით კიდეც, ერთადერთ საფრთხეს რასაც ამ ნაბიჯში ვხედავ, ესაა თეორიული შანსის გაჩენა ნაციონალებისთვის, რომლებიც ფორმალურ უმრავლესობად იქცნენ. ამ ეტაპზე აუცილებლად მიმაჩნია კონსტიტუციას მივხედოთ, ნაციონალებისგან „გაუპატიურებულ“ ამ ძირითად კანონს, ხელი არც ოცნებამ დააკლო და ახლაც რაღაც აბსურდული, ბიძინა ივანიშვილზე მორგებული ცვლილების მიღებას აპირებდნენ.

● ნ სექტემბერს ფარული ჩანაწერები განადგურდებაო — თქვეს კურიერში და მთელმა სტუდიამ შვებით ამოისუნთქა.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

# კოკაინის საქმე

## დათა ახალაიას მილიონ 700 ათასი ევროს მითვისებას ედავებიან

**საძმე, რომელზეც ახლა გიამბობთ 2010 წლის 1 ივნისს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირების დათა ახალაიასა და სოსო თოფურიძის მიერ ე.წ. „პიარის“ წარმოებისა და პრემიების მიღების მიზნით დაიგეგმა. ახალაიას დავალებით კუდ-ში დაიგეგმა ე.წ. „კოკაინის საქმე“, საიდანაც კუდ-ის მაღალჩინოსანმა მილიონ 700 ათასი ევრო მიითვისა. 2006-2010 წლებში ბიზნესმენ ნუგზარ ბოჭორიშვილს, რომელიც საბერძნეთის მოქალაქეა, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა არაერთხელ მოსთხოვეს სოლიდური თანხების გადახდა, რომლის არშესრულების შემთხვევაშიც, სოსო თოფურიძეს პრობლემების შექმნით დაემუქრა, რაც 2010 წელს სისრულეში მოიყვანეს.**

2010 წლის 4 ივნისს კუდ-ის თანამშრომლებმა ბოჭორიშვილის სახლის ჩხრეკისას 1 684 000 ევრო ამოიღეს, რაც დასტურდება, როგორც საქმეში განთავსებული ჩხრეკის ოქმით, ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით არაერთხელ გაშუქებული სიუჟეტებითაც. როგორც საქმის მასალებით ირკვევა რეალურად ამოღებული 1 700 000 ევროს ნაცვლად, მათ ოფიციალურ დოკუმანეტაციაში 1 684 000 ევრო ასახეს. როგორც ბოჭორიშვილის ადვოკატი, მირიან ნიკოლაძე აცხადებს 16 000 ევრო საწყის ეტაპზევე კუდ-ის მაღალჩინოსნებმა მიითვისეს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 122-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების თანახმად, სისხლის სამართლის საქმის წარმოების პერიოდში, წესით, „ეროვნულ ბანკში“ უნდა ინახებოდეს ძვირფასი ლითონები, ქვები და თვლები, უცხოური ვალუტა, საქართველოს ფულის ნიშნები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები. „ეროვნული ბანკიდან“ 2013 წლის 25 თებერვალს მიღებული 2-09/594-13 წერილით ირკვევა, რომ 2010 წლის 1 ივნისიდან დღემდე საქართველოს სასამართლოების ან სამართალდამცავი ორგანოების მიერ სისხლის სამართლის 0066101234 საქმესთან დაკავშირებით ნივთმტკიცების სახით ამოღებული რაიმე ფასეულობა საქართველოს „ეროვნულ ბანკში“ შენახვის მიზნით არ ყოფილა წარმოდგენილი.

როგორც ადვოკატი მირიან ნიკოლაძე for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, „ეროვნული ბანკიდან“ მიღებული წერილით დასტურდება, რომ ნივთმტკიცების სახით ამოღებული სოლიდური თანხა დათა ახალაიამ მიითვისა. ადვოკატი პროკურატურისგან ითხოვს ამ საქმეზე დათა ახალაიას წინააღმდეგ დაიწყოს გამოძიება.

**„წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ცალსახადაა დადასტურებული კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნის დათა ახალაიას მხრიდან ნივთმტკიცების სახით ამოღებული სოლიდური თანხის მითვისების ფაქტი, რაც თავის მხრივ, დაადასტურა მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა. პროკურატურაში აღძრულია საქმე ე.წ. „კოკაინის საქმეზე“ და მილიონ 700 ათასი ევროს მითვისებაზე, მაგრამ ჩვენ ვითხოვთ, რომ დაუყოვნებლივ დაიწყონ სისხლის სამართალწარმოება ყველა იმ პასუხისმგებელი პირის მიმართ, რომელთაც დანაშაულებრივად მიითვისეს მითითებული თანხა.**

**გამოძიებით დადგენილია, რომ სხვადასხვა პირებს, დათა ახალაიას მეთაურობით, მითვისებული აქვთ მილიონ 700 ათასი ევრო, რომელიც არ ჩარიცხულა არც ბიუჯეტში, არც ეროვნულ ბანკში და ჰქონდათ პირადი მოხმარებისთვის. გავიდა 9 თვე და გამოძიებას არაფერი გაუკეთებია. 150 ათასი ევრო დათა ახალიამ პირადად თავისი ხელით გადასცა თავის დროზე ბესარიონ სურმავას, რომელიც იყო ბიძინა ივანიშვილის დაცვის წევრი მისი გადმობირებისთვის.**

**მას დათა ახალაიასგან პირადად გადაეცა თანხა. ეს ფაქტი ჩვენი მოგონილი არ არის. ამაზე მტკიცებულებები არსებობს, მაგრამ შედეგი არ ჩანს. საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ საქმის გამოძიება ფერხდება კოჰაბიტაციური რეჟიმის თუ სხვა რამის გამო, არ ვიცი. მე, დათა ახალაიას და როლანდ ახალაიაზე სხვა საქმეებიც მაქვს, რომელიც ყველგან შეფერხებულია. გვაინტერესებს, თუ ხელშეუხებლები არიან, განგვიცხადოს პროკურატურამ, რომ დათა ახალაიაზე არ აღიძრება საქმე და მას პრობლემა არ შეექმნება“,** — აცხადებს ადვოკატი.

მისივე თქმით, იმის დასტურად, რომ სისხლის სამართლის 0066101234 ე.წ „კოკაინის საქმე“ გახლდათ მხოლოდ კუდ-ის მაღალჩინოსნების მიერ, პირადი სარგებლის გამო შეთხზული, ასევე დასტურდება ბიზნესმენ ბოჭორიშვილის კერძო ქონების მიმართ მათი არადამიანური მოპყრობის ფაქტი. გარდა იმისა, რომ უპირობოდაა სახეზე დანაშაულებრივი ფაქტი, კიდევ უფრო მეტად მძიმეა მისი მორალური მხარე, ვინაიდან მოქმედი სამართალდამცავი მუშაკების მიერ, საკუთარი ხელით დატაცებული იქნა ინვენტარი, პირადი მოხმარების საგნები, სამეწარმეო საქმიანობისათვის განკუთვნილი ქონება და სხვა.

კერძოდ, 2010 წლის, სავარაუდოდ, 3 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, ანუ მას მერე, რაც კუდ-ის თანამშრომლებმა შეიტყვეს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესახებ, მათ დაარბიეს და პირადი სარგებლობისათვის დაიტაცეს თბილისში, ე.წ „ვაკე-საბურთალოს“ სასაფლაოსთან მდებარე ნუგზარ ბოჭორიშვილის კუთვნილი სარიტუალო დარბაზი.

**„ვითხოვთ, დაიწყოს სისხლის სამართალწარმოება კუდ-ის თანამშრომლების მხრიდან სარიტუალო დარბაზში განთავსებული ქონების დატაცებისა და დაზიანების ფაქტზე, ხოლო ვინაიდან, შესაძლოა, მითითებული ქონება ამჟამადაც იმყოფებოდეს დამნაშავე პირების საკუთრებაში, ვითხოვთ, უმოკლეს ვადებში გაატარონ გადაუდებელი საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებები მათი ამოღების მიზნით“,** — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას მირიან ნიკოლაძე.

მისივე თქმით, სისხლის სამართლის საქმის ხელოვნურად დაგეგმვისა და მისთვის მიზანმიმართულად რეზონანსულობის შეძენის კიდევ ერთ დასტურს წარმოადგენს ისიც, რომ გარდა ზემოაღნიშნული სოლიდური თანხების მითვისებისა, კუდის თანამშრომლების ინიციატივითა და ხელშეწყობით, დღემდე დაყადაღებულია ბოჭორიშვილის დედის მარია ბოჭორიშვილის სახელზე რიცხული საცხოვრებელი სახლი.

**„ნარკოტიკული ნივთიერება „კოკაინი“ 2010 წლის ივნისის მდგომარეობით ფიზიკურად არ არსებობდა საქართველოში, თვით კუდ-ის თანამშრომლებიც სამი დღის განმავლობაში ცდილობდნენ გარკვეული გზებით მის მოპოვებას, რათა შემდგომში მომხდარიყო კოკაინის „ჩადება“, თუმცა უშედეგოდ, რის გამოც ისინი იძულებულნი გახდნენ სვანიძის ა/მანქანაში „ჩაედოთ“ სხვა ნივთიერება, რომლიც შემდგომი მანიპულაციების გზით (ყალბი საექსპერტო დასკვნით) გამოცხადდებოდა „კოკაინად“,** — აცხადებს ადვოკატი.

მისივე თქმით, პროკურატურა გამოძიებას აწარმოებს ცემა-წამების ფაქტთან დაკავშირებით. კოკაინის ცნობილ საქმეზე რამდენიმე პირია დაკავებული, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დაიწყო გამოძიება ამ პირების მიმართ არაადამიანური მოპყრობის საქმეზე. გამოძიებით დადასტურებულია, რასაც დაკითხული ადამიანები მიუთითებენ, რომ დათა ახალაია საკუთარი ხელით აწამებდა და არაადამიანურად ეპყრობოდა ბრალდებულებს, საქმეში ასევე ფიგურირებს ახალაიას მარჯვენა ხელი სოსო თოფურიძე.

**„დათა ახალაიამ საკუთარ კაბინეტში რკინის ხელჯოხით სცემა გიორგი ჩეჩელაშვილი, ფეხებიდან სისხლი რომ სდიოდა ჩეჩელაშვილს, ამაზე ახალაია უშულილივით იცინოდა. გორგოლაჭებიან სკამზე იჯდა, მაგიდას წიხლს მიარტყამდა, გაშორდებოდა, დაარტყამდა წაძცეულს და უკანვე გასრიალდებოდა. ასე აწამა ნუგზარ ბოჭორიშვილის დის ძმარი მევლუდ სვანიძე, რომელიც ტყეში წაიყვანეს, ხეზე ფეხით დაკიდეს და უმოწყალოდ სცემეს, მერე ჩამოხსნეს და ეუბნებოდნენ — აბა ჩქარა გაიძეცი, ესეც გაიძცეოდა და ამ დროს ახალაია ჰაერში იწყებდა სროლას. სვანიძე ყველა გასროლაზე ძირს ვარდებოდა. ასეთი ტერორის ძვეშ იყვნენ ეს ადამიანები. დათა ახალაია ყოველთვის კაიფში იყო, რას აკეთებდა, ვეღარ აზროვნებდა“,** — აღნიშნა ადვოკატმა მირიან ნიკოლაძემ.

თამთა ქარჩავა

## ◎ ალიან-ჩალიანი

### ჯანდაცვის უწყება სტომატოლოგიური კლინიკების კონტროლის გამკაცრებას აპირებს

ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განმარტა, სტომატოლოგიურ კლინიკებს ფუნქციონირებისთვის ერთჯერადად ლიცენზირება ეძლეოდათ და ხელშეუხებელნი იყვნენ. უახლოეს მომავალში კი, ლიცენზირების ნაცვლად სტომატოლოგიური კლინიკების გასახსნელად აკრედიტირება გახდება საჭირო, რაც სახელმწიფოს საშუალებას მისცემს დინამიკური კონტროლი განახორციელოს სტომატოლოგიურ კლინიკებზე.

დავით სერგეენკოს თქმით, სტომატოლოგიურ კლინიკებში აუცილებელია ინფექციებზე სისტემატიური კონტროლი. კერძოდ, ახალი პირობების თანახმად, სისტემატურ კონტროლს გაივლის დეზინფექცია-სტერილიზაციის, ვენტილაციის სისტემის, სტომატოლოგიური კაბინეტისთვის დადგენილი საკმარისი ფართის არსებობა.

### იაშვილის კლინიკაში იძულებითი მმართველი შევა?

ჯანდაცვის მინისტრის განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში, იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკასა და ჰოლდინგში შემავალ სხვა პედიატრიულ ცენტრებში იძულებითი მმართველი შევა.

დავით სერგეენკომ იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკაში განვითარებულ მოვლენებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ თუ საჭირო გახდება, ამოქმედდება კანონი სტრატეგიული ობიექტების შესახებ, რაც საშუალებას იძლევა, სახელმწიფომ ლეგალურად და სტრატეგიულად გამოიყენოს უფლებები კლინიკების სტანდარტულ რეჟიმში, სამუშაო გარემოს შესაქმნელად.

როგორც მინისტრმა განაცხადა, იაშვილის სახელობის კლინიკა და დანარჩენი 4 პედიატრიული ცენტრი ჩუმად, „როგორც ლუდხანა, ისე გაიყიდა“.

— მთავრობა სახელმწიფო ინტერესს არ დათმობს არანაირი კერძო ინტერესების სასარგებლოდ. ეს არის მსხვილი პედიატრიული ჰოლდინგი, ალოგიკურია იქ განვითარებული მოვლენები. ეს შეიძლება გააკეთოს მხოლოდ შეურაცხადმა ადამიანმა და გაყიდოს კლინიკები, როგორც ლუდხანა. უცხოელი ინვესტორები ეძებენ მყარ ლობისტებს სახელმწიფოსთან, მაგრამ ამ ინვესტორებმა ავნეს ამ კლინიკებს. თუ საჭირო გახდება სახელმწიფო ლეგალურად და სტრატეგიულად გამოიყენებს კანონს სტრატეგიული ობიექტების შესახებ. ვინაიდან, ეს პედიატრიული ცენტრები სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი სამედიცინო დაწესებულებებია, — განაცხადა დავით სერგეენკომ.

როგორც მინისტრმა განმარტა, მას ამ დრომდე ეგონა, რომ „უნივერსალ ჰოსპიტალ გრუპის„ წარმომადგენელმა თექინ ატიკმა კლინიკების მართვა არ იცოდა, თუმცა მან რელიგიური ინტერესები გამოვლინა ხატებისა და ჯვრების ჩამოხსნასთან დაკავშირებით.

მინისტრის ინფორმაციით, იაშვილის სახელობის კლინიკაში შექმნილი ვითარება საფრთხეს უქმნის პაციენტებს, ვინაიდან მომხდარის გამო მედპერსონალი დემორალიზებული აღმოჩნდა.

მისივე ინფორმაციით, თუ ვითარება არ დარეგულირდება „უნივერსალ ჰოსპიტალ გრუპის“ წარმომადგენლებსა და მედპერსონალს შორის, შესაძლოა კლინიკებში იძულებითი მმართველი შევიდეს.

მედპერსონალსა და თექინ ატიკს შორის ურიერთობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც თურქმა ინვესტორმა რეანიმაციულ განყოფილებაში კომპიუტერი დაამტვრია, მედპერსონალს შეურაცხყოფა მიაყენა და კედლებიდან ხატებისა და ჯვრების ჩამოხსნის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა.

როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას ექიმებმა განაცხადეს, ისინი თექინ ატიკს კლინიკის ტერიტორიაზე არ შეუშვებენ და თუ საჭირო გახდება, კაბინეტის კარს აუჭედავენ.

ინტერპრესი

# იაკობის „დედაენის“ პატრონი რას ვეძებთ?

**ყურადღებას ვთხოვთ განათლების მინისტრს და არა მხოლოდ მას**

„გაღმა გასვლისა მსურველთა უკუღმა მიგვყავს ბორანი“

ვაჟა.

1976 **წელს** იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“ 100 წლის იუბილე გადავუხადეთ;

1981 წელს „დედაენას“ ძეგლი ავუგეთ;

2013 წელს „დედაენას“ – ანბანის სწავლების ი. გოგებაშვილისეულ მეთოდს – არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მივანიჭეთ...

1960 წელს ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში გამართულ მსოფლიო ენების საანბანე სახელმძღვანელოების საერთაშორისო გამოფენა-კონკურსზე იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდით შედგენილ ქართულ საანბანე სახელმძღვანელოს – „დედაენას“ – პირველი პრემია და საპატიო მედალი მიენიჭა...

და **ქართულ სკოლაში მისი ადგილი არ მოიძებნა**; იაკობსა და მის „დედაენას“ ებრძვიან... დიახ, ებრძვიან და ისაკუთრებენ... – ვინ? – ჩვენვე, ქართველები... – სამინისტრო რას აკეთებს? – ჰო, ამაზე ვისაუბროთ...

* * *

**იაკობ** **გოგებაშვილის** „დედაენის“ როლისა და მნიშვნელობის გასააზრებლად მარტო ის იკმარებდა, **აკაკი წერეთლის** ნათქვამი რომ გაგვეხსენებინა: „მთელ საქართველოში იაკობ გოგებაშვილი ერთადერთი მოღვაწეა, რომელიც თავისი შრომით და ენერგიით, თავისი მძლავრი კალმის ნაწარმოებით უდიდეს სამსახურს უწევს მთელ ქართველობას. იაკობის მიერ შედგენილი ქართული სახელმძღვანელოებით მოფენილია მთელი საქართველო. ვინაა ისეთი ქართველი, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენაზე“ არ აეხილოს თვალები. **ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე. იაკობ გოგებაშვილი ღირსია იმისა, ქართველმა ხალხმა სიცოცხლეში ძეგლი დაუდგას!“...“** ჩვენს დროში დაიწერა: „შეიძლება **თამამად ითქვას, რომ „დედაენის“ შექმნა თავისი მნიშვნელობით უტოლდება ყველაზე დიდ წვლილს, რომელიც რომელიმე ჩვენს წინაპარს შეუტანია ჩვენი ერის სულიერ საგანძურში“** (გ. აბაშიძე) და სხვა...

„დედაენაზე“ ბევრი თქმულა. ჩვენც არაერთგზის შევეცადეთ წარმოგვეჩინა იაკობის ღვაწლი და „დედაენის“ სიკეთე (იხ. თუნდაც: „დედაენა“– ძეგლი სამარადისო“ 2010; „ღვაწლი და წუთისოფელი იაკობ გოგებაშვილისა“ – 2012), ამიტომ ამაზე არ ვისაუბრებთ... ვთქვათ ის, რა დღეშია დღეს „დედაენა“.

* * *

**იაკობის** სიცოცხლეშივე ათზე მეტი წიგნი ცდილობდა კონკურენცია გაეწია „დედაენისათვის“... ხმალამოღებული იცავდა იაკობი „დედაენას“, არა როგორც თავის წიგნს, არამედ როგორც საუკეთესო სახელმძღვანელოს... იაკობის გარდაცვალების შემდეგ „დედაენას“ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ უპატრონა ; 1927 წელს დაასრულა საქმიანობა ამ საზოგადოებამ და დარჩა „დედაენაც“ ბედის ანაბარა. დაიწყო „საბჭოთა დედაენების“ (ასეც უწოდებდნენ) პერიოდი. ძირითადად იაკობის სახელმძღვანელოს ემყარებოდნენ, მაგრამ დაირღვა არაერთი მთავარი პრინციპი იაკობისა; თუნდაც ის, რომ საანბანე წიგნი პოლიტიკისგან თავისუფალი უნდა ყოფილიყო; „საბჭოთა დედაენაში“ შემოდის თემები სტალინი, ლენინი, ბერია, წითელი არმია... (სხვათა შორის ბოლო ათწლეულში იჩინა თავი ამგვარმა თემატიკამ „დიდი კაცის“ საამებლად: შადრევნები, ვარდები, თვითმფრინავები...).

მაგრამ უფრო მძიმე პრობლემა ისაა, რომ ითვისებენ იაკობის ინტელექტუალურ საკუთრებას: **განათლების სამინისტროს მიერ გრიფირებულ სახელმძღვანელოთა ნუსხაში იაკობ გოგებაშვილი „დედაენის“ ავტორად აღარ მოიხსენიება**; ავტორებად სხვები სახელდებიან (გ. ჩხენკელი, ნ. გორდელაძე, ნ. მაღლაკელიძე, ვ. როდონაია და სხვა). გრიფირებული სამი სახელმძღვანელოდან ორს ტიტულზე აწერია, რომ შედგენილია იაკობ გოგებაშვილის მიხედვით (მესამესთან სხვა პრობლემაა, ამის შესახებ ქვემოთ).

რას ნიშნავს „მიხედვით“? ორივე იწყება „აი ია“-თი; ერთ-ერთი შემდეგაც ზუსტად მისდევს იაკობის „დედაენას“; მეორეში მცირეოდენი ცვლილებებია შეტანილი; ხშირ შემთხვევაში ეს შესწორებები თვითმიზნურია – რომ გამართლდეს მათი ავტორობა და ეწინააღმდეგება იაკობის პრინციპებს... და „სავარჯიშოები შეადგინეს ავტორებმაო“... არაერთგზის დაიწერა ამის თაობაზე, მერე რაო? – არაფერი... **იაკობისეული ტექსტის რედაქტირება, სავარჯიშოთა შედგენა და რამდენიმე თვითმიზნური შესწორება საკმარისი აღმოჩნდა ავტორებად სხვანი დაწეროდნენ „დედაენას“...**

სხვა ვითარებაა გრიფირებულ მესამე „დედაენაში“ (ავტ. ვ. როდონაია და ჯგუფი). იაკობის „დედაენასთან“ მას მხოლოდ სათაური აკავშირებს; პირველ გაკვეთილზე **ა**-ს „აქლემით“ „აკვარიუმითა“ და „არწივით“ ასწავლიან და ა. შ. კი ბატონო, ამჯობინეს **„აი ია“**-ს „აქლემი“ და „აკვარიუმი“ – ეს ავტორთა გემოვნებისა და გრიფის მიმცემის პრობლემაა; მაგრამ **„დედაენა“ რატომ ჰქვია?** ამის თაობაზეც არაერთგზის დაიწერა: **დედაენა** იაკობ გოგებაშვილის სიტყვაშემოქმედების ნიმუშია. ეს სიტყვა იაკობმა შექმნა საგანგებოდ სახელმძღვანელოსათვის ისეთი სიტყვების ანალოგიით, როგორიცაა **დედაქალაქი, დედაბოძი, დედააზრი, დედაბურჯი**; როგორც ილია ჭავჭავაძე განმარტავდა, ეს არის **მთავარი ქალაქი, მთავარი აზრი, მთავარი ბურჯი** და შესაბამისად **მთავარი ენა, ანუ სალიტერატურო ენა.** ამიტომაც **„დედაენა“ საავტორო სათაურია წიგნისა, იგი ავტორის საკუთრებაა და ისევე არ შეიძლება მისი გამოყენება სხვათა მიერ, როგორც „ვეფხისტყაოსნისა“ თუ „კაცია-ადამიანის“**...

კი, ბატონო, აქვთ უფლება, შექმნან საანბანე სახელმძღვანელო, სამინისტროს ნებაა გრიფის მინიჭება, მაგრამ **იაკობის სათაურის – „დედაენის“ – მითვისების არც იურიდიული და არც მორალური უფლება არავის აქვს!**

ასე რომ, 3 ქართული ენის **სამივე გრიფირებული სახელმძღვანელო პირველი კლასისა** სხვადასხვა ფორმით **ითვისებს იაკობ გოგებაშვილის ინტელექტუალურ საკუთრებას!**

ეს ფაქტი, ერთი მხრივ, და გრიფირების ჩატარების წესი (შესაბამისად, შედეგებიც), მეორე მხრივ, მეტყველებს განათლების სამინისტროს ავ-კარგზე. ვისაუბროთ ამ თემაზეც.

* * *

**უნდა** შეიცვალოს სახელმძღვანელოთა გრიფირების წესი; მისი მიზანდასახულობა უნდა გახდეს ეროვნული სკოლის სიკეთეზე ზრუნვა, საფუძველი – ობიექტურობა. ბოლო ორი გრიფირება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. კონკრეტულად:

2009 წელს გაიმართა კონკურსი პირველი კლასის სახელმძღვანელოზე გრიფის მისანიჭებლად. საკონკურსოდ **წარდგენილი იყო 10 „დედაენა“!** მათ შორის ი. გოგებაშვილის „დედაენაც“, რომელიც თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მოამზადა ი. გოგებაშვილის საზოგადოებამ. ექსპერტებმა ეს წიგნი შეაფასეს 97 ქულით (მაქსიმუმი იყო 100); ერთ-ერთი საკონკურსო სახელმძღვანელო შეფასდა 17 (!) ქულით და, თქვენ წარმოიდგინეთ, **განათლების სამინისტრომ გრიფი მიანიჭა ათიავს!**

ცხადია, ამას კონკურსი არ ჰქვია, ეს რეგისტრაციაა... სამინისტრომ სკოლებს დაუტოვა არჩევანის უფლება; იზრუნეს ავტორებმა და 17-ქულიანი სახელმძღვანელო კონკურენციას უწევდა 97-ქულიანს (ზოგ შემთხვევაში სჯობნიდა კიდეც)... გაუჭირდა იაკობის „დედაენას“, რადგან ბევრი უფრო აქტიური („შანსიანი“) ავტორი გამოდგა...

2010 წელს ხუთი წლით მინიჭებული გრიფი გაუუქმდა „დედაენებს“ და გამოცხადდა ახალი გრიფირება. კლასები შეიკრა კომპლექტებად; I-VI კლასები ერთ კომპლექში გაერთიანდა. ამჯერად იაკობის „დედაენა“ სკოლის მიღმა აღმოჩნდა და გრიფი მიიღო იმ სამმა „დედაენამ“, ზემოთ რომ მოგახსენეთ... ჩვენ ვცადეთ იაკობის გამოქომაგება; უცნაური პასუხი მივიღეთ სამინისტროდან: მოძველებული სიტყვებია წიგნშიო (თოხი, ნამგალი, ცელი...) სოფლის თემატიკაა ჭარბადო (ეს მაშინ, როცა ერთ-ერთ გამარჯვებულ „დედაენაში“ ყოველივე ეს უცვლელადაა გადატანილი იაკობის წიგნიდან!)... 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ ვიფიქრეთ, აღდგებოდა დაპირებული სამართლიანობა და ისევ მივმართეთ სამინისტროს ი. გოგებაშვილის ქომაგებმა; იგივე პასუხი მივიღეთ: თურმე იმ დონეზე, ვისთანაც ჩვენ ხელი მიგვიწვდებოდა, არაფერი შეცვლილა; პასუხი იმავე პიროვნებამ გაგვცა, ვინც ადრე... თურმე **ოქტომბრის არჩევნები არ მომხდარა იაკობ გოგებაშვილის „დედაენისთვის“**...

დამეთანხმებით, სახელმძღვანელო ყველა მნიშვნელოვანია, მაგრამ საანბანე სახელმძღვანელო მაინც სხვაა...

როდემდე გაგრძელდება ასე? როდემდე იქნება დაჩაგრული იაკობ გოგებაშვილი და მისი „დედაენა“? ვინ უნდა იზრუნოს იაკობის ინტელექტუალური საკუთრების დასაცავად? ვინ უნდა უზრუნველყოს ის, რომ ჩვენი ბავშვები წერა-კითხვას სწავლობდნენ უკეთესი სახელმძღვანელოთი? (არ გაიცინოთ: ერთ-ერთი „დედაენის“ ავტორებს საანბანე ნაწილში გამორჩათ ერთი ასო (ტ) და 32 ასო-ბგერას ასწავლიდნენ! და ეს წიგნი თავის დროზე სკოლაში დაუშვა სამინისტრომ...).

განათლების სამინისტრომ უნდა მოაგვაროს ეს...

* * *

**როგორც** ითქვა, იაკობ გოგებაშვილმა თავისი ანდერძით „დედაენა“ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ დაუტოვა საპატრონოდ (იხ. ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. IV, 1955, გვ. 540-542). ქშწკგ საზოგადოება 1927 წლამდე არსებობდა და პატიოსნად ასრულებდა ანდერძით დაკისრებულ მოვალეობას... იმ დროს ეროვნული სკოლის ბედ-იღბალი განათლების სამინისტროს ჩაბარდა... წესით, ის უნდა იყოს სამართალმემკვიდრე იმ საზოგადოებისაც და იაკობის სახელმძღვანელოთა პატრონიც! **განათლების სამინისტრომ უნდა მიხედოს „დედაენას“, უნდა უპატრონოს!**.. ეს იქნება დიდი იაკობის ანდერძის შესრულებაც და ჩვენი სკოლის ინტერესის დაცვაც...

* * *

**გვითხრეს,** მოძველდაო „დედაენა“, უნდა განახლდესო. იაკობმა თავის სიცოცხლეში 33-ჯერ გამოსცა „დედაენის“ საანბანე ნაწილი; თითქმის ყოველ გამოცემაში შეჰქონდა შესწორება, დაზუსტება... თავად მიაჩნდა, რომ სახელმძღვანელო დროის შესაბამისად უნდა უკეთესდებოდეს; იგონებენ, თქვაო: „ჩემი „დედაენა“ **მაშინ მოკვდება, როცა გაუკეთესება მოაკლდებაო“**... რას ნიშნავს გაუკეთესება? – შეიძლება შემოვიდეს ახალი მასალა, დაზუსტდეს, დაიხვეწოს ფორმები და ა. შ. მაგრამ არსებითი არის ის, რომ **არ უნდა შეიცვალოს მთავარი პრინციპები**; რასაც ვცვლით, უნდა შეიცვალოს უკეთესით; ცვლილება არ უნდა იქნეს შეტანილი ინდივიდუალურად (რაც ჩვეულებრივია დღეს); ანდერძში იაკობი სთხოვდა ქშწკგს-ს, **„სახელმძღვანელოში ყველა ცვლილება შეტანილი უნდა იქნეს მხოლოდ საზოგადოების გამგეობის 3/4-ის თანხმობით“.**

დღეს განათლების სამინისტრომ ეს ანდერძიც უნდა შეასრულოს. ჩვენ ასე გვესახება: **უნდა შეიქმნას კიომპეტენტური კომისია** – მეცნიერებისაგან (ენათმეცნიერები, ლიტერატორები, ფსიქოლოგები), პრაქტიკოსი მასწავლებლებისაგან, მეთოდისტებისაგან... და **იაკობის „დედაენა“ ამ კომისიამ უნდა მოამზადოს სასკოლოდ...** უნდა მოხდეს იაკობის პრინციპების ღრმად შესწავლა და ყველა ცვლილება ამის მიხედვით უნდა იქნეს შეტანილი...

არის კიდევ ერთი პრინციპული საკითხი: როგორც ვთქვით, კომპლექტებად შეიკრა კლასები (I-VI, VII-IX, X-XII) და კომპლექტი ერთად იღებს გრიფს. ოთხმა-ხუთმა კარგმა სახელმძღვანელომ შეიძლება „გაიყვანოს“ უვარგისი წიგნი... მოხდა კიდეც ასე. **ამიტომ I კლასის ქართული ენის სახელმძღვანელო უნდა ჩაიხსნას კომპლექტიდან და ცალკე უნდა მიიღოს კონკურსში მონაწილეობა..**

**იაკობის „დედაენის“ გადარჩენისათვის ზრუნვა ეროვნული სკოლის გადარჩენისათვის ზრუნვის ტოლფასია...**

**ჩვენი თაობა ვალშია იაკობ გოგებაშვილის წინაშე!**

სიტყვა და საქმე განათლების სამინისტროზეა...

**გიორგი გოგოლაშვილი**

◎ ალიან-ჩალიანი

## იპოთეკარებს ვალებს ვერ აპატიებენ

**ვიცე-პრემიერის თქმით, აღსრულების ეროვნული ბიურო დაზარალებულებს საკმაო ვადებს აძლევს, რათა მათ საკუთარი ნებით ახალ პირობებთან შეგუება შეძლონ.**

**– იმაზე, რომ ამ ადამიანებს ვალები ეპატიოთ, საუბარი არ არის. ჩვენ ვცდილობთ მაქსიმალურად ადამიანური მიდგომები გამოვიყენოთ, ამ ეტაპზე მეტის გაკეთება შესაძლებელი არ არის, – აღნიშნა ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა. იპოთეკარებმა სასტუმრო „რედისონთან“ საპროტესტო აქცია გამართეს და ამბასადორიალის მონაწილე მინისტრებს მათთან შეხვედრისკენ მოუწოდებენ. აქციის მონაწილეების განცხადებით, თუ ხელისუფლება მათ დასახმარებლად ზომებს უახლოეს მომავალში არ მიიღებს, „ ქართული ოცნების“ კანდიდატი საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების ყოველგვარ შანსს დაკარგავს.**

ინტერპრესი

**ახალგაზრდისთვის** არც ისე ძნელი იყო ყოველივე ამის გაგება. დღის უმეტეს ნაწილს ის რაღაცაზე ანგარიშით ატარებდა – რომელიმე სამუშაოსთვის გამოყოფილ ვადებზე, ანგარიშებზე, თავის ჯანმრთელობაზე – ყოველთვის იყო რაღაც, რაც შეიძლება ისე არ მომხდარიყო.

– როდესაც იქ ვიჯექი და მოხუცს ვესაუბრებოდი, – განაგრძობდა მის ჰენდერსონი, – მე უცებ მივხვდი რამდენად უმნიშვნელოა თითქმის ყველაფერი ის, რაზეც ოდესმე ვღელავდი. ჩემთვის ყველაზე მახლობელი ადამიანის გარდაცვალების ფონზე ყველა ეს მღელვარება ანგარიშებზე, გირავნობის სიგელებზე, გამოცდებზე, სამუშაოზე... ეს ყველაფერი წვრილმანად იქცა.

მოხუც ჩინელ ჯენტლმენთან შეხვედრამ საშუალება მომცა გავცნობოდი ჭეშმარიტი ბედნიერების მუღამებს, და გულწრფელად მინდა ვაღიარო, რომ ამ მუღამებმა შეცვალეს ჩემი ცხოვრება. ისინი ჩემთვის ნამდვილ აღმოჩენად იქცნენ, არასოდეს მიფიქრია, რომ თავად ვარ ჩემი ბედნიერების თუ უბედობის შემოქმედი. მაგალითად, მე გავიგე ჩემი დამოკიდებულებისა და ჩემი რწმენის შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ ახდენს გავლენას სხეული გრძნობაზე, საკუთარ თავზე კარგი წარმოდგენების ძალის, მიზნებისა და იუმორის გრძნობის აუცილებლობის შესახებ. ვისწავლე ყოველი დღის ფასი და ცხოვრება მიმდინარე წამში. და მაინც მგონია, იყო ერთი მუღამი, რომლის ათვისებაც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო და რომელმაც ყველაზე ძლიერი ზემოქმედება მოახდინა ჩემ ცხოვრებაზე. ესაა... **რწმენის მუღამი.**

– რწმენისა? – შეეკითხა ახალგაზრდა. – ბედნიერებასთან რა ურთიერთობა აქვს რწმენას?

– ყველას გვჭირდება რაღაცა გვწამდეს – არა მხოლოდ ბედნიერებისთვის, არამედ უბრალოდ იმისთვის, რომ ვიცხოვროთ, – უპასუხა მის ჰენდერსონმა. – ნება მიბოძეთ, მოვიყვანო ერთი მაგალითი. თქვენ გყავთ მანქანა?

– კი.

– დარწმუნებული ხართ, რომ მასზე შეგიძლიათ იმოგზაუროთ ურისკოდ?

– მან ტექნიკური დათვალიერება ერთი თვის წინათ გაიარა!

– რატომ მიგაჩნიათ, რომ მექანიკოსმა ყველაფერი გულდასმით შეამოწმა?

– ე-ე-ე... რასაკვირველია, ვერ დავიწყებ ამის მტკიცებას, მაგრამ...

– გამოდის, თქვენ გჯერათ იმ მექანიკოსისა. კეთილი, რატომ ფიქრობთ, რომ არ მოხვდებით ავარიაში, როდესაც მანქანა მიგყავთ?

– დამყავს ძალიან ფრთხილად, – უპასუხა ახალგაზრდამ.

– მაშასადამე, თქვენ გწამთ თქვენი უნარისა, დაგყავდეთ მანქანა. ეს შესანიშნავია, მაგრამ გზაზე ხომ სხვა მძღოლებიც არიან, რომლებსაც შეუძლიათ არ იყვნენ ასეთივე ფრთხილები, ასე არაა?

– შეიძლება, – აღიარა ახალგაზრდამ. – მაგრამ მგონია, რომ მათი უმრავლესობა საკმაოდ ფრთხილია.

– მაშ ასე, თქვენ გჯერათ სხვა ადამიანებისაც, ვინც ავტომობილის საჭეს უზის. ახლა გესმით, იმისთვის, რომ წაიყვანოთ მანქანა, გიწევთ გჯეროდეთ მათი, ვინც ის ააგო და აწარმოებს მის ტექნიკურ მომსახურებას, საკუთარი თავისაც და სხვა მძღოლებისაც. წარმოდგენაც კი ძნელია, რამდენი რწმენა გჭირდებათ, რომ იცოცხლოთ, თუ განუწყვეტელ შიშსა და შეშფოთებაში არ ცხოვრობთ.

– ახლა მესმის, – თქვა ახალგაზრდამ.

– მაგრამ არის ერთი რწმენა, რომელიც ყველაზე მეტად გვჭირდება, – თქვა მის ჰენდერსონმა. – ესაა რწმენა ღვთისა, უზენაესისა, საყოველთაო ძალისა – არ აქვს მნიშვნელობა, როგორ ვუწოდებთ მას.

– ხომ არ გინდათ თქვათ, რომ ღვთის რწმენა აუცილებელია იმისთვის, რომ გავხდეთ ბედნიერები? – შეეკითხა ახალგაზრდა.

– მე არ მითქვამს, რომ ვერ ვიქნებით ბედნიერი ღვთის რწმენის გარეშე. მე ვთქვი, რომ ამ რწმენის გარეშე ჩვენთვის ძალიან ძნელი იქნება მივაღწიოთ ხანგრძლივ ბედნიერებას. რწმენა ჭეშმარიტი ბედნიერების ფუნდამენტია. წარმოიდგინეთ, რომ ორმა კაცმა აიშენა სახლები. ერთმა თავის სახლი ქვებზე ააშენა, მეორემ – ქვიშაზე. სანამ კარგი ამინდია, ორივე ბედნიერია, მაგრამ როგორც კი დაიწყება ჭექა-ქუხილი, სახლი, რომელიც იდგა ქვიშაზე, დაინგრევა. რწმენა ის ქვაა, რომელზეც ხანგრძლივ ბედნიერებას იშენებენ; იგი ძლევს ნებიმიერ უბედურებას და ყველა უბედურს უზრუნველყოფს იმედითა და ვაჟკაცობით.

უილიამ ჯეიმსი წერდა: **„რწმენა ერთ-ერთი იმ ძალათაგანია, რითაც ადამიანი ცოცხლობს, და მისი სრული არარსებობა დაღუპვა იქნებოდა“,** მაჰათმა განდი კი ამბობდა: **„რწმენის გარეშე უკვე დიდი ხნის უგუნური ვიქნებოდი“.** უმაღლესი ძალის რწმენის გარეშე სიცოცხლე აღივსება ეჭვებით, შეშფოთებებით და შიშებით. ფსიქოლოგიურმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ძლიერი რელიგიური რწმენის ადამიანები უფრო იშვიათად იტანჯებიან რეპრესიებისგან და სტრესთან დაკავშირებული მოშლილობებით და ძალიან ადვილად იტანენ ტრაგიკულ დანაკარგებს. ნება მიბოძეთ, გიჩვენოთ რაღაც. – მან თაროდან გადმოიღო რომელიღაც წიგნი. ეს იყო დოქტორ კარლ იუნგის „თანამედროვე ადამიანი სულის ძიებაში“. – მომისმინეთ, რას წერს დოქტორი იუნგი, – თქვა ჰენდერსონმა:

***ყველა ჩემ კლიენტს შორის, რომლებმაც ცხოვრების ნახევარზე მეტი გაიარეს, – ესე იგი ოცდათხუთმეტ წელზე მეტი ხნისა – არავინ ყოფილა ისეთი, ვისი პრობლემებიც საბოლოო ანგარიშში თავს არ იყრიდნენ სიცოცხლეზე რელიგიურ შეხედულებათა ძიებაში.***

***დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ყოველი მათგანი ამ ადამიანებიდან ავად გახდა იმის დაკარგვის გამო, რითაც აჯილდოებდნენ თავის მიმდევრებს ნებისმიერი ეპოქის ნამდვილი რელიგიები, და მათგან, ვინც არ აღიდგინა თავისი რელიგიური წარმოდგენები, ვერავის ნამდვილად განკურნება ვერ მოხერხდა.***

– მესმის, რაზეც ლაპარაკობთ, – თქვა ახალგაზრდამ, – მაგრამ სულაც არა ვარ დარწმუნებული, რომ ღმერთი მართლა არსებობს.




მის ჰენდერსონი ერთი წუთით ჩაფიქრდა:

– თქვენთვის რომ მეამბნა, რომ რომელიღაც კოსმოსური ხომალდი გაჩნდა თავისით მილიონობით წლების განმავლობაში, რაც საჭირო იქნებოდა, რათა ლითონის, ხის, პლასტმასის ნაჭრებისგან და სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებებისგან შეერთებულიყვნენ, თქვენ აუცილებლად გადაწყვეტდით, რომ მე ჭკუიდან შევიშალე, ასე არაა?

– ალბათ, კი.

– თქვენთვის ცნობილია, რომ არსებობს კოსმოსური ხომალდები, მაშასადამე, მათ ჰყავთ შემქმნელი, ასეა ხომ?

– დიახ, –დაუდასტურა ახალგაზრდამ.

– როდესაც დაიწყებთ ადამიანის სხეულის შესწავლას, თქვენ აღმოაჩენთ გაცილებით უფრო რთულ სტრუქტურას, ვიდრე კოსმოსური ხომალდია, – განაგრძობდა მის ჰენდერსონი. – მაგალითად, შატლი „კოლუმბია“ 5,2 მილიონი ცალკეული ნაწილისგან შედგება, ხოლო ადამიანის მხოლოდ ერთი თვალი – მილიარდზე მეტი ელემენტისგან. მეცნიერები მხოლოდ გაოცებას გამოხატავენ ადამიანის ორგანიზმის აგებულების გამო, და, მიუხედავად ყველა ჩვენი ტექნიკური მიღწევებისა, იმისთვის, რომ შევქმნათ რაღაც ადამიანის ტვინის მსგავსი რამ, საჭირო იქნებოდა აგვეგო ემპაირ სტეიტ ბილდინგის მოცულობის კომპიუტერი. ბუნებაში ყველგან შეიძლება მოინახოს წარმოუდგენელი სირთულისა და სიზუსტის მსგავსი მაგალითები.

– მაგრამ თუ ღმერთი არსებობს, – კვლავ შეედავა ჯერ კიდევ დაურწმუნებელი ახალგაზრდა, – რატომაა მსოფლიოში ასე მრავალი უბედურება?

– თქვენ თქვით, რომ რამდენიმე კვირის წინ ძალიან უბედური იყავით, – უპასუხა მის ჰენდერსონმა. – რატომღა შეიცვალა ყველაფერი?

– იმიტომ, რომ გავიგე ჭეშმარიტი ბედნიერების მუღამები, – აქვა ახალგაზრდამ.

– თუ გეყოთ იმის ძალა, რომ შეგექმნათ საკუთარი ბედნიერება, რატომ უნდა ჰქონდეს ვინმეს გარეგანი დახმარების იმედი?

– მესმის, – უპასუხა ახალგაზრდამ. – ჩვენ თვითონ ვართ პასუხისმგებლები საკუთარი ბედნიერებისთვის.

– რასაკვირველია. ამიტომ თუ ადამიანი უბედურია, ამის მიზეზი მის საკუთარ აზრებსა და მოქმედებებში იმალება. ეს არანაირად არ არის დაკავშირებული უფალთან. ჩემთვის ეს ჭეშმარიტი ბედნიერების მუღამების ერთ-ერთი ყველაზე სასწაულებრივი გაკვეთილია – არის მხოლოდ ერთი არსება, რომელსაც შეუძლია გაგხადოს ბედნიერი ან უბედური, და ეს არსება – თავად შენა ხარ.

ახალგაზრდამ თავი დაუკრა:

– დიახ, ვფიქრობ, რომ ეს სწორია.

– საბოლოოდ, – განაგრძო მის ჰენდერსონმა, – რწმენა – ეს არის ის, რაც ყველა ჩვენგანმა თავის თავში უნდა მონახოს. მაგრამ მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ თუ ადამიანი ეძებს ჭეშმარიტებას, იგი მას მონახავს. და დროდადრო, როდესაც თავს სრულიად დაბნეულად მივიჩნევთ, ხდება რაღაც ისეთი, რაც ჩვენს სულზე ახდენს გავლენას. თუ გნებავთ – პატარა სასწაული.

– მაგალითად?.. შეეკითხა ახალგაზრდა.

– მაგალითად, მოხუც ჩინელთან შეხვედრა!

საღამოს, სანამ ჩაწვებოდა ლოგინში, ახალგაზრდამ გადაიკითხა დღის განმავლობაში გაკეთებული ჩანაწერები.

## ჭეშმარიტი ბედნიერების მეათე მუღამი - რწმენა ძალაა

- **რწმენა ჭეშმარიტი ბედნიერების ფუნდამენტია.**
- **რწმენის გარეშე შეუძლებელია ხანგრძლივი ბედნიერება.**
- **რწმენა იწვევს ნდობას ადამიანებისადამი, ამშვიდებს გონებას და ასუფთავებს სულს ეჭვებისგან, განგაშისგან, შეშფოთებისგან და შიშისგან.**

## ეპილოგი

**როდესაც** ახალგაზრდა მანქანაში ჯდებოდა, სახეზე წვიმის პირველი წვეთები იგრძნო, რამდენიმე წუთის შემდეგ კი ჭექა-ქუხილის ხმა გაისმა. გრუხუნი და ელვა ძლიერი წვიმის წინაპირობა გახდა, რაც საქარე მინას დაატყდა თავს. ახალგაზრდის ფიქრებმა ერთი წლით უკან გადაიწიეს, იმ საღამოსკენ, როდესაც მოხუც ჩინელს შეხვდა. გაიხსენა, როგორ უბედურად გრძნობდა მაშინ თავს, და გაიღიმა, როდესაც წარმოიდგინა, როგორ მიტყაპუნებდა თავისი მანქანისკენ ქარსა და წვიმაში, როდესაც ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ უნდა შეხვდეს საიდუმლო ადამიანს, რომელიც სამუდამოდ შეცვლის მის ცხოვრებას.

იმ შეხვედრის მომენტიდან ახალგაზრდის ცხოვრება წარმოუდგენლად შეიცვალა. ის გახდა უფრო ენერგიული და საღი და იყო უფრო ბედნიერი, ვიდრე ოდესმე თავის ცხოვრებაში. გარშემომყოფნიც ამჩნევდნენ ამას – მის თვალებში კიაფობდა ნაპერწკლები, სიარულიც უფრო მყარი გახდა, სახიდან კი თითქმის არ უქრებოდა ღიმილი. მას ჰქონდა იგივე სამუშაო, ბინა, მანქანა და მეგობართა წრე. ერთადერთი, რაც მის ცხოვრებაში შეიცვალა, იყო... თავად იგი.

ხალხი ხშირად ეკითხებოდა მას, თუ რატომ გამოიყურება ასე მხიარულად. ასეთ შემთხვევებში ის კმაყოფილებით უყვებოდა ყველას მოხუც ჩინელთან შეხვედრის ისტორიას და ჭეშმარიტი ბედნიერების მუღამების შესახებ. იმის შესაძლებლობა, რომ გაეზიარებინა სხვებისთვის ის, რაც მან იცოდა, ყოველთვის დიდ ბედნიერებას ანიჭებდა მას, ვინაიდან ესმოდა, რომ მის სიტყვებს შეუძლიათ ამ ადამიანების ცხოვრებაში შეიტანონ იგივე ცვლილებები, რაც მის საკუთარ ცხოვრებაში მოხდა. ბევრი ურეკავდა, რომ მადლობა გადაეხადათ ვთქვათ, თუ როგორ დაეხმარნენ ეს მუღამები მათ ცხოვრებაში. და სულ უფრო ხშირად სთავაზობდნენ დაეწერა წიგნი ამ ისტორიის შესახებ.

მოულოდნელად ხმამაღალი დარტყმის ხმა გაისმა, და მანქანის კოპოტიდან კვამლი ამოვარდა. ახალგაზრდამ მანქანა გზის პირას გააჩერა და გაუყვა შარაგზას თითქმის ორნახევარი კილომეტრის იქით უახლოესი ტელეფონისკენ, რომ საავარიო სამსახური გამოეძახა.

როდესაც მანქანასთან დაბრუნდა, ახალგაზრდამ ვერ შეიკავა თავი ღიმილისგან. სიტუაცია სულ უფრო აღელვებდა მას და იმედი ჰქონდა, რომ კვლავ იხილავს მოხუც ჩინელს, რომელიც მოლოდინში მანქანაზე იქნებოდა მიბჯენილი, როგორც ეს ერთი წლის წინათ იყო. მას უნდოდა მადლობა გადაეხადა მოხუცისთვის და ეამბნა მისთვის იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვალა მისი ცხოვრება ჭეშმარიტი ბედნიერების მუღამების წყალობით. მაგრამ ეს არ მომხდარა – მოხუცი არ ჩანდა.

ახალგაზრდა მივიდა მანქანის კართან და გასაღები კლიტეს მოარგო, რომ დაინახა რაღაცა კაშკაშა ყვითელი, მიწაზე რომ ეგდო. დაიხარა და აიღო უცნაური საგანი.

– წარმოგიდგენია, – ჩაილაპარაკა მან თავისი თავის მისამართით. მას ხელში ეჭირა ბეისბოლის ყვითელი კეპი!

როდესაც მანქანაში იჯდა ავარიული სამსახურიდან მექანიკოსის მოლოდინში, თავში ერთმა აზრმა გაუელვა. ამოიღო კალამი, გაშალა ბლოკნოტი და ჩაწერა: **„ყველაფერი ოქტომბრის ცივ და წვიმიან საღამოს დაიწყო...“**

**თარგმნა**
**ზურაბ ლომიძემ.**

**დასასრული. დასაწყისი იხ. № 148-156, 159-168**

◎ პოზიცია

# როგორც რუსეთუმეობა, ისე ამერიკუმეობა გასაკიცხია

ყოველთვის მაკვირვებდა – მოტივი ალასანიას პოლიტიკაში ყოფნისა. მასზე რამდენჯერმე კირიტიკული სტატია გამოვაქვეყნე, თითქოს რას ვერჩოდი ერთი შეხედვით უწყინარ კაცს? – მაგრამ, ზოგჯერ ასეთი უწყინარი კაცები ხდებიან მოხელენი, რომელთა საქმიანობა დიდ ზიანს აყენებს ქვეყანას. ალასანია ლამის ტელეეკრანის ვარსკვლავად იქცა, – ისე ხშირია მისი გამოსვლები, მაგრამ არც ერთი მისი სიტყვა დატვირთული არ არის პოლიტიკური შინაარსით. გამუდმებით გაიძახის ავაღორძინებ ეკონომიკას, მოვსპობ უმუშევრობას, შევაჩერებ მიგრაციას, გამოვასწორებ დემოგრაფიას, ხოლო რა გზით, რა მეთოდებით, ამაზე არაფერს ამბობს. ერთხელაც არ უთქვამს, საქართველოს რეალობას როგორი პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემა მიესადაგება, არ დაუსახელებია ის პრობლემები, რაც პირველ რიგშია გადასაწყვეტი, არც კრიზისის გამომწვევი მიზეზები უხსენებია.

ჟურნალისტმა ერთხელ ალასანიას ასეთი კითხვა დაუსვა: „რა აზრის ბრძანდებით კოდორის ხეობაში შინაგანი ჯარების შეყვანის თაობაზე?“ – მან დაბეჯითებით უპასუხა: „ამ მოვლენას დადებითად ვაფასებ“, ეს ის დრო იყო, როდესაც ალასანია სააკაშვილს განუდგა. თურმე მისგან არსადაც არ წასულა – მისი იდეების თავგადაკლული დამცველი ყოფილა. რაც შეეხება კოდორის ხეობაში შინაგანი ჯარების შეყვანას, იყო საბედისწერო შეცდომა. აფხაზები ასე თუ ისე ეგუებოდნენ ამ ხეობის საქართველოს ფარგლებში დე ფაქტოდ ყოფნას...

მსოფლიოს გამოჩენილი თეორეტიკოსებიც უარყოფითად აფასებენ სააკაშვილის ამ მეტად გაუთვალისწინებელ ნაბიჯს.

ყველას გაუკვირდა, როდესაც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ალასანია ვიცე პრემიერის ადგილიდან გაათავისუფლა. შემდგომში ნათლად გამოჩნდა მისი პოლიტიკური უმწიფრობა და ინტეგრალური პოლიტიკის უცოდინრობა. ერთხელ ალასანიამ საჯაროდ განაცხადა: ბატონ ბიძინასთან მძიმე საუბარი მქონდაო. ამაზე ბატონმა კახა მიქაიამ აღშფოთებით შენიშნა: ვისთან გქონდა, მძიმე საუბარი, შენი ტოლი და სწორი ხომ უნდა იცოდეო.

ახლა ივანიშვილს ბევრი აკრიტიკებს – სათანადოდ არ სჯის დამნაშავე პოლიტიკური ორგანიზაციის – ეგრეთ წოდებულ ნაციონალების წევრებსო. მან დასაწყისიდანვე განაცხადა: სააკაშვილთან მუშაობა შეუძლებელია და უმჯობესი იქნება, თუ ის თანამდებობიდან ნებაყოფლობით გადადგებაო. ამ განცხადებას ამერიკელები და ევროპელები აღშფოთებით შეხვდნენ – კოჰაბიტაციაა საჭირო და არა დაპირისპირებაო. აქ ივანიშვილს ქართველი ხალხი უნდა წამოშველებოდა და საყოველთაო საპროტესტო აქციებით სააკისტები აეძულებინათ, ხელისუფლება დაეტოვებინათ. ნაცვლად ამისა მის მიმართ უსაფუძვლო კრიტიკა წამოიწყეს და ბევრმა მათგანმა, რომლებმაც უახლეს წარსულში პოლიტიკური საქმიანობით თავი ვერ გამოიჩინეს, პრეზიდენტობის კანდიდატებადაც კი წამოაყენა საკუთარი თავი.

ვერავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ამჟამინდელ ხელისუფლებას რამდენიმე მინისტრი საპყრობილეში ჰყავს გამოკეტილი, რამდენიმე მაღალჩინოსანი დაპატიმრების შიშის გამო საზღვარგარეთ წავიდა. ხელისუფლება ყოველგვარი საშუალებებით უმტკიცებს ამერიკელებს და ევროპელებს, რომ სააკაშვილი და მისი მხარდამჭერები სისხლის სამართლის დამნაშავენი არიან, კანონის ძალით ასამართლებენ და არა პოლიტიკური მოტივით. ამისთვის იყენებს საზღვარგარეთის პრესას და საინფორმაციო საშუალებებს, რისთვისაც ლობისტებს სოლიდურ ფულს უხდიან. საზღვარგარეთის პოლიტიკოსებს ეხვეწებიან კიდეც: ჩამობრძანდით საქართველოში და ნათლად დაინახავთ, რომ ვაპატიმრებთ მხოლოდ მათ, ვისაც დანაშაული აქვთ ჩადენილი და არა პოლიტიკური მოტივითო. ასეთ რთულ მდგომარეობაში მყოფ საქართველოს ალასანიამ ფეხქვეშ ნიადაგი გამოაცალა, აბა სხვა რა არის, როდესაც სააკაშვილსა და მის ბანდაზე იტყვი: ქვეყანა პროგრესისკენ წაიყვანეს, დამოკრატიის გზაზე დააყენეს და ხალხს მომავლის იმედი ჩაუსახეს; და ეს დაპატიმრებები, რაც საქართველოში ხდება, ემოციების ბრალია, რასაც უმოკლეს დროში დავძლევთ და სააკაშვილის დაწყებულ საქმეს ქარველები ბოლომდე მივიყვანთო. ასეთია ალასანიას მოსაზრების მოკლე შინაარსი, რაც მან აშშ-ის ერთ-ერთ გაზეთს მიაწოდა.

სააკაშვილი ალასანიას ასეთმა განცხადებამ, ალბათ, ძლიერ გაახარა და სამუდამოდ მის ერთგულ მომხრეთა სიაში ჩაწერა.

აღსაშფოთებელია, როცა ასეთ განცხადებას აკეთებს იმ ხელისუფლების მინისტრი, რომელიც კაცობრიობის მოწინავე ნაწილს დღენიადაგ უმტკიცებს სააკშვილს რეჟიმის დანაშაულებრივ საქამიანობას.

ვინც საღად მოაზროვნე პოლიტიკოსი ან პოლიტოლოგია, საერთოდ, მოვლენების ანალიზის უნარი შესწევს, ამასთან ეხერხება წერა და საჯარო გამოსვლა, ერის ძნელბედობის დროს უნდა გამოვიდეს და მართალი სიტყვა თქვას. ჩვენს შემთხვევაში სამზეოზე გამოიტანოს ალასანიას დასაგმობი შეხედულება. თორემ რა გამოვიდა? – თუ ყველაფერს წავუყრუებთ, მეტიც, ყველა ცრუპატრიოტს და ფსევდოპოლიტიკოსს ეროვნულ გმირად წარმოვადგენთ, ვერასოდეს შევძლებთ ნორმალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

ვინმეს არ ეგონოს – ამერიკასთან და ევროპასთან ურთიერთობის მნიშვნელობას ვაკნინებდე. სრულიად არა, მაგრამ როგორც რუსეთუმეობა, ისე ამერიკუმეობაც გასაკიცხია. ყველა სახელმწიფოსთან უნდა დავამყაროთ ნორმალური ურთიერთობა; დამყარებული ურთიერთპატივისცემაზე და არა – ვასალურზე.

**ვაჟა ჟღენტი,**

**საბჭოური პერიოდის საქართველოს პოლიტმაგიმართა გაერთიანების თავმჯდომარე**

# ბოლნისის საკრებულოს თავმჯდომარემ „ქართული ოცნება“ დატოვა!

**პირველ რიგში დიდი პატივისცემით მივესალმები ჩემს ერთგულ მკითხველს ვისთან ერთადაც დიდი ხანია „ავი მუსაიფი“ აღარ მქონია დაწყევლილ კოჰაბიტაციაზე. დიახ, დაწყევლილ, რადგანაც სწორედ კოჰაბიტაციამ უკვე ისეთ მასშტაბებს მიაღწია, იმდენად ამაზრზენი ფორმები მიიღო, რომ ეროვნულ უბედურებად გვექცა ქართველებს – აგერ უკვე თვეზე მეტი გავიდა, რაც არაფერი დამიწერია პრესაში, რაც სულაც არ გახლავთ სიზარმაცის ბრალი, არამედ ობიექტურ მიზეზთა გამო, უბრალოდ, არ მეცალა, თუმცა მაინც, როგორც იმერეთში იტყვიან, „ბოდიში მამითხოვია“ მკითხველთან და მეორეს მხრივ მადლობაც მინდა გადავუხადო იმ ნაცნობ-უცნობთ, ვინც ამ ხნის განმავლობაში ჩემი დუმილის მიზეზთა გასარკვევად მირეკავდა. მიზეზთა, რომელთა შესახებაც მომავალში აუცილებლად ვისაუბრებ. ახლა კი...**

გასულ შაბათს, მედიაკავშირ „ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში (იქაც „ავი მუსაიფი“ ჰქვია ჩემს საავტორო გადაცემას) ბოლნისის საკრებულოს თავმჯდომარე მალხაზ ერაძე, ახლად დანიშნული გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი მურმან ყურაშვილი და კომუნალური სამსახურის უფროსის მოადგილე თემურ სვანიძე მყავდნენ სტუმრად.

ცოტა ხნის წინ,ბატონმა მალხაზ ერაძემ დაკავებული თანამდებობიდან გაანთავისუფლა ბოლნისის გამგებელი ფალავანდიშვილი, რომელიც დღიდან დანიშვნისა მიუღებელი იყო ბოლნისელებისთვის და არამხოლოდ „ნაცისტური“ წარმომავლობის, არამედ პიროვნული „ღირსებებისა გამოც“ – თუნდაც მისთვის შერქმეული მეტსახელი „ქელეხა“ მეტყველებს ბევრ რამეს.

სწორედ ამ თემის ირგვლივ საუბრობდნენ ჩემი გადაცემის სტუმრები, ოღონდ არა ისე, როგორც გადაცემის სახელს, „ავ მუსაიფს“ შეეფერებოდა, არამედ „ლაითად“ – აშკარა იყო, რაღაცას ბოლომდე არ ამბობდნენ...

გადაცემის მეორე დღეს, ამჯერად უკვე საკრებულოს აპარატის უფროსი დავით გამყრელიძეც იახლეს და კვლავ მეწვივნენ სტუდიაში და, როგორც იტყვიან, „გუდას პირი მოხსნეს“ და ყველაფერი თქვეს.

თურმე, გადაცემიდან გასულებს თავს დაატყდათ უშიშროების სამსახურიდან სატელეფონო მუქარები – „თქვენი ობიექტივის ვის ეშინია“, „მაგ მეამბოხე რქებს მოგტეხავთ“, გაგანადგურებთ, ბიჭო, თქვენ რამე ხომ არ გეშლებათ“ და ა. შ. მოკლედ, „ნაცისტური“ მმართველობის სტილში ყველაფერი!..

მთავარი „რამე ხომ არ გეშლებათ“ კი იმაში მდგომარეობს, რომ მალხაზ ერაძემ ცენტრის, „ქართული ოცნების“ მთავარი ოფისის დაუკითხავად გადააყენა „ქელეხა“ ფალავანდიშვილი, რის გამოც დაიბარეს იქ, სადაც ჯერ არს – პოლიტსაბჭოში და რომ იტყვიან ტყავი გააძვრეს მთელს „დამნაშავეთა დასტას“ – „თვითმმართველობა მომინდომეთ არა?“, „ჩვენს ზემოთ (პოლიტსაბჭოს – **დ.მ.**) მხოლოდ ღმერთია (დავით საგანელიძის სიტყვებია – **დ.მ.**) ასეთი რეპლიკების თანხლებით ჩატარებულა ის სხდომა, რომლის მთავარი „ტერორისტები“ გუგული მაღრაძე და დავით საგანელიძე ბრძანებულან, ეკა ბესელია და ელისო ჩაფიძე მდუმარედ უყურებდნენ ჩვენს შეურაცხყოფასო – აღნიშნეს ჩემმა სტუმრებმა მეორე გადაცემაში, სადაც ისიც გამიმხილეს, რომ იმ პოლიტსაბჭოს გამართვიდან მეორე დღესვე დაგვირეკეს „ქართული ოცნების“ სათაო ოფისიდან და გვაცნობეს, პარტიული დისციპლინის დარღვევის გამო, დროებით შეჩერებული გაქვთ პარტიის წევრობაო!

ჩემმა სტუმრებმა გადაცემის ბოლოს სკანდალური განცხადება გააკეთეს პირდაპირ ეთერში – მალხაზ ერაძემ, თემურ სვანიძემ და დავით გამყრელიძემ პროტესტის ნიშნად დატოვეს კოალიცია „ქართული ოცნებაც“, პარტიაც და სამივე „საქართველოს პატრიოტთა ალიანსში“ გაწევრდა!!!

ამას დაუმატეთ ისიც, რომ 1 სექტემბერს „სპას“ მიერ ორგანიზებული შთამბეჭდავი საპროტესტო აქცია გაიმართა უზენაეს სასამართლოსთან კოტე კუბლაშვილის გადაყენების, პარლამენტის პირველსავე სესიაზე მისი იმპიჩმენტის დაწყების მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში „სპა“ ფართომაშტაბიანი საპროტესტო აქციების დაწყებას აპირებს, ოღონდ უფრო გლობალური, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით!

სავარაუდოდ ეს უღონო პარლამენტი კუბლაშვილის იმპიჩმენტის პროცედურას არ დაიწყებს და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ დანაქადებს აასრულებს, ანუ ღიად და რადიკალურად დაუპირისპირდება არსებულ ხელისუფლებას მთლიანად...

აი, ამ პათოსის მიტინგზე მოვიდა უმრავლესობის წევრი, პარლამენტის დეპუტატი დავით ლორთქიფანიძე და არა მარტო მოვიდა, არამედ სიტყვითაც გამოვიდა და სრული მხარდაჭერა გამოუცხადა აქციის მონაწილეებს!..

კობა დავითაშვილზე აღარაფერს ვიტყვი – მისი მოსვლა არავის გაჰკვირვებია...

მოკლედ საინტერესო ცხოვრება გველის, ბატონებო...

**დავით მხეიძე**

◎ ალიან-ჩალიანი

# საქართველოსა და შვედეთის პარლამენტები მასშტაბურ თანამშრომლობას გეგმავენ

**შვედეთის პარლამენტის რვავე პარტიის წარმომადგენელი საქართველოში ჩამოვა და საქართველოში წარმოდგენილ ყველა პარტიის წარმომადგენელს შეხვდება. თანამშრომლობა შედგება როგორც პარლამენტებს, როგორც ინსტიტუტებს შორის, ასევე ინდივიდუალურად: პარლამენტარებს, ფრაქციებსა და კომიტეტებს შორის.**

**ამის შესახებ საქართველოსა და შვედეთის პარლამენტების თავმჯდომარეები დავით უსუფაშვილი და პერ ვესტერბერი შეხვედრაზე შეთანხმდნენ.**

**– შვედეთის პარლამენტში წარმოდგენილი რვა პარტიიდან შვიდი პარტია, ანუ პარლამენტის შემადგენლობის 90%-ზე მეტი ევროკავშირის შემდგომ გაფართოებას უჭერს მხარს. ისინი მომხრე არიან, რომ ახალი ქვეყნები, თუკი ისინი გარკვეულ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებენ, ევროკავშირის წევრები გახდნენ. შვედეთის პარლამენტი დიდ ყურადღებას აქცევს „აღმოსავლეთ პარტნიორობას. შვედეთი პოლონეთთან ერთად „აღმოსავლეთ პარტნიორობის„ ინიციატორი იყო, ამიტომ ჩვენ მხარს ვუჭერთ თანამშრომლობის განვითარებას ყოფილ საბჭოთა ქვეყნებთან. მსურს, აქვე მოვიტანო გერმანიის ყოფილი კანცლერის ჰელმუნდ კოლის სიტყვები, რომელმაც განაცხადა: თუ გსურთ თავი იგრძნოთ დაცულად, უსაფრთხოდ, თქვენი მეზობლები უნდა უყვნენ თქვენი მეგობრები და თქვენ დაცულად და მეგობრულად თავს იგრძნობთ მაშინ, როცა ამ ქვეყნებში იქნება სათანადო ეკონომიკური განვითარება, – განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე პერ ვესტერბერმა. შვედეთის პარლამენტის დელეგაცია, პარლამენტის სპიკერის ხელმძღვანელობით საქართველოში სამდღიანი ვიზიტით იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში ისინი შეხვდებიან პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტს, საპარლამენტო ოპოზიციას და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს.**

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ვნებათაღელვანი ბელადთან დაკავშირებით

## იოსებ სტალინის ძეგლები საქართველოში შინაპოლიტიკური ბრძოლის ობიექტები გახდნენ

**საქართველოში მწვავე დაპირისპირება გაჩაღდა იოსებ სტალინის ძეგლების აღდგენასთან დაკავშირებით. მმართველი პარტია და ოპოზიცია ერთიმეორეს აკისრებენ პასუხისმგებლობას „ქართული სახელმწიფოებრიობის უბოროტესი მტრის მონუმენტალური რეაბილიტაციის“ მცდელობისთვის.**

იოსებ სტალინის ძეგლი თელავში დიდ სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალთან საზეიმოდ დადგეს საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინელისა“ და დიდი სამამულო ომის ვეტერანთა საქართველოს კავშირის ინიციატივით. ძეგლის გახსნაზე ვეტერანები ცრემლებს ვერ მალავდნენ, ზოგიერთები კი კითხულობდნენ ლექსებს „საქართველოს შვილზე, რომელიც ყველა ხალხის ბელადი გახდა“. თუმცა, მალე გაირკვა, რომ ღონისძიება ნებადართული არ ყოფილა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. კანონის მიხედვით, გადაწყვეტილება შეეძლო, მიეღო მხოლოდ თელავის ქალაქის მერიას, მაგრამ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის დიმა ბოჭორიძის სიტყვებით, „საკრებულოს არ გაუცია ნებართვა ძეგლის დადგმაზე“. ბატონმა ბოჭორიძემ არ გამორიცხა, რომ ძეგლი „მალე შეიძლება დემონტირებული იყოს, ვინაიდან იგი დაიდგა უკანონოდ“. პასუხად ვეტერანებმა განაცხადეს, რომ წინააღმდეგობას გაუწევენ ძეგლის მოხსნას „მათზე მორალური ზემოქმედებით, ვინც ხელს აღმართავს ფაშიზმზე გამარჯვებულზე“.

მაგრამ ბელადის მტრები არ დაელოდნენ ქალაქის ხელისუფლების ვერდიქტს. დილით ორშაბათს ვეტერანებმა, როდესაც მემორიალთან მოვიდნენ, აღმოაჩინეს, რომ ვიღაცამ ძეგლს წითელი საღებავი შეასხა. ჯერჯერობით პასუხისმგებლობა არავის უკისრია. თუმცა, ცოტა ვინმეს თუ ეპარება ეჭვი იმაში, რომ ბელადი შეღება ერთ-ერთმა ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ, რომელიც გამოდის „სისხლიანი დიქტატურის განდიდების“ წინააღმდეგ.

ინციდენტი თელავში უნიკალური როდია. ამ ცოტა ხნის წინათ გორის მუნიციპალურმა კრებამ, რომელმაც მიიღო წინასწარ კულტურის სამინისტროს თანხმობა, გადაწყვიტა დააბრუნოს ქალაქში სტალინის უზარმაზარი ქანდაკება, რომელიც 2010 წელს მოხსნეს. მართალია, საკრებულოს დეპუტატებმა გადაწყვიტეს მისი დადგმა არა ცენტრალურ მოედანზე, არამედ სტალინის სახლ-მუზეუმთან, რომელიც იმავე მოედნის ბოლოშია.

ამ საკითხთან დამოკიდებულება თავისებური ტესტი გახდა ქართველი პოლიტიკოსებისთვის. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უმალვე დასდო ბრალი ამაში ბიძინა ივანიშვილის მთავრობას „სისხლიანი ტირანის რეაბილიტაციაში“ და გაგვაფრთხილა: დიქტატორისადმი ასეთი დამოკიდებულება „იწვევს საქართველოს პროდასავლური ორიენტაციის დისკრედიტაციას ევროპის გაერთიანების თვალში“.

მმართველი კოალიციისა და საპრეზიდენტო პარტიის ლიდერები ერთიმეორეს აკისრებენ პასუხისმგებლობას ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში სტალინის ძეგლების აღდგენის გახშირებულ შემთხვევებთან დაკავშირებით. „ბუნებრივია, ყოველივე ამის უკან დგას ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნება“, — დაარწმუნა ჩვენი გაზეთი პარლამენტის წევრმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ მიხეილ მაჭავარიანმა. მისი აზრით, ამით „ხელისუფლება გვიჩვენებს, თუ სინამდვილეში როგორ ეპყრობიან საქართველოს დამოუკიდელობის იდეას, ვინაიდან ამ იდეას არ ჰყოლია უფრო დიდი მტერი, ვიდრე სტალინი“.

სხვათა შორის, მისმა კოლეგამ პარლამენტში მმართველი კოალიციიდან „ქართული ოცნება“ ზაქარია ქუცნაშვილმა ურჩია ჩვენს გაზეთს არ დაუჯეროს ამგვარ განზოგადებებს. „გადაწყვეტილება სტალინის ძეგლის დადგმის შესახებ, თუნდაც მუზეუმის მახლობლად, მივიღეთ არა ჩვენ, არამედ ხელისუფლებამ იმავე 2010 წელს“, — შეგვახსენა ბატონმა ქუცნაშვილმა. მას მიაჩნია, რომ საქართველოში „სტალინის მთავარი რეანიმატორი პრეზიდენტი სააკაშვილია, ვინაიდან „სწორედ მან ააღორძინა ქვეყანაში უცხოდ მოაზროვნეთა დათრგუნვის, საყოველთაო დევნის, სპეცსამსახურების სრულუფლებიანობისა და პატიმართა წამების სტალინური სისტემა“.

Коммерсантъ

# რუსეთმა საქართველო ყურძენზე უჩვეულო მოთხოვნით უზრუნველყო

**ყურძნის მოსავლის აღებას საქართველოში „რთველს“ უწოდებენ. ქვეყანაში ამ პროცესისთვის, რომელიც თავს „ღვინის აკვნად“ მიიჩნევს, ტრადიციულად გულისფანცქალით ელოდებიან. იგი უკვე დაიწყო და გვპირდება, რომ იქნება უპრეცედენტო.**

## რუსეთის ემბარგოს მოხსნის შემდეგ ქართველი მეღვინეები სიამოვნებით ღებულობენ კრედიტებს ახალი მოსავლისთვის

ჯერ ერთი, როგორც ჩვენს გაზეთს საქართველოს სოფლის მეურნეობის ღვინის ეროვნულ საგენტოში აცნობეს, იგეგმება თვეში მოკრიფონ 160 ათას ტონამდე ყურძენი, რაც ორჯერ აჭარბებს შარშანდელ მაჩვენებელს. მეორეც, სახელმწიფო ახალისებს როგორც გლეხებს, ისე მწარმოებლებს, ამიტომ შესასყიდი ფასი ყურძნის ერთ კილოგრამზე უკვე საშუალოდ ერთ ლარს შეადგენს (დაახლოებით 0,6 დოლარი), რაც ასევე მეტად მაღალ მაჩვენებლად ითვლება. ღვინის კომპანიები შეღავათიან კრედიტებს ღებულობენ 15 თვეზე — 12-15 პროცენტამდე, საიდანაც ცხრას სახელმწიფო ფარავს. და არა მხოლოდ საბიუჯეტო სუბსიდიების ხარჯზე. საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ შექმნა სოფლის მეურნეობის დახმარების ფონდი, სადაც აკუმულირებულია ერთი მილიარდი ლარი (600 მილიონი დოლარი).

მაგრამ წლევანდელი რთველის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი, სპეციალისტების აღიარებით, გახდა შვიდი წლის ემბარგოს შემდეგ რუსეთის ბაზრის გახსნა. ამან მიგვიყვანა იმასთან, რომ კომპანიები ადრევე უხდიდნენ ფერმერებს მოსავლისთვის. ყურძნის მაღალი ფასიც ძირითადად ამითაა განპირობებული.

— რუსეთის ბაზრის გახსნა, რომლისადმი ინტერესიც დიდია მთელ მსოფლიოში, კარგი სტიმული გახდა. ქართული ღვინო იქ ძველებურად პოპულარულია, რის შესახებაც მეტყველებს ექსპორტის მაჩვენებლები, — განაცხადა ჩვენს გაზეთთან საუბარში ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ლევან დავითაშვილმა. — მთლიანად წელს ქვეყნიდან გაგვაქვს 43 პროცენტით მეტი ღვინო, ვიდრე ეს იყო 2012 წელს. ამავე დროს ხაზგასმით აღვნიშნავ, ბაზრები დივერსიფიცირებულია.

მიწოდებანი რუსეთში განხორციელდა ქართული კომპანიების გულდასმითი შესწავლის შემდეგ რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის ექსპერტების მიერ ივნისის ბოლოს. დღეისთვის რუსეთში შევიდა 6,28 მილიონი ბოთლი ქართული ღვინო, რომლის საშუალო ფასიც თითოეულზე — 3,5 დოლარია. ღვინოს რუსეთში აწვდის 20 ქართული კომპანია. პროდუქცია იგზავნება „ყაზბეგი-ზემო ლარსის“ საკონტროლო-გამტარი პუნქტით.

— მიწოდების განახლების მომენტიდან მიმდინარე წლის ბოლოსთვის ვაპირებთ, რუსეთში გავყიდოთ დაახლოებით 5 მილიონი ბოთლი. ესე იგი, მაჩვენებელი უკვე გადაჭარბებულია, — თქვა ლევან დავითაშვილმა. — რუსეთი ამჟამად ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტში მხოლოდ უკრაინას ჩამორჩება, სადაც წელს ჩვენ მივაწოდეთ 7 მილიონ ბოთლზე მეტი. მაგრამ თუ ტემპები შენარჩუნებული იქნება, რუსეთს შეუძლია დაიკავოს პირველი ადგილი ჩვენი ღვინის მიმღებელთა სიაში.

ემბარგომდე საქართველოს რუსეთში შეჰქონდა 40 მილიონი ბოთლი ღვინო წელიწადში, მაგრამ მაშინ პროდუქცია რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის ბევრ პრეტენზიას იწვევდა. ამჟამად ეს ყველაზე მეტად მიხეილ სააკაშვილს არ მოსწონს. ამ დღეებში მთიან ამბროლაურში ღვინის ფესტივალზე რუსეთის ბაზარს პრეზიდენტმა „ხაფანგი“ უწოდა. მისი სიტყვებით, ერთი ბოთლი კარგი ქართული ღვინო მსოფლიო ბაზარზე უნდა ღირდეს 100-დან 200 დოლარამდე. სააკაშვილს მიაჩნია, რომ ასეთი ფასები რუსეთში მიუღწეველია, და ახლა ქართველმა მწარმოებლებმა ორიენტაცია უფრო იაფ ღვინოზე აიღეს. მისი სიტყვებით, რუსეთში ხვანჭკარა რომ 8 დოლარად იყიდებოდეს, საქართველოში ის უნდა ღირდეს 2 დოლარი, მაგრამ ასეთი ფასი საერთოდ არ არსებობს“.

— პრეზიდენტის ეს განცხადება, რბილად რომ ვთქვათ, აბსურდულია, — ამბობს დავითაშვილი. — ჩვენ საშუალო საფასო სეგმენტი გვიკავია.

უახლოეს პერიოდში რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობა საქართველოში ახალ ინსპექციას გაგზავნის. კიდევ დაახლოებით ღვინის 20 კომპანიაა დაინტერესებული რუსეთში ღვინის გატანით. შეამოწმებენ ქართული ღვინის მწარმოებლებსაც.

და მაინც საქართველოში კარგად ახსოვთ 2006 წლის ემბარგო. ამიტომ ქართული გაზეთის „ეკონომიკური პალიტრის“ მთავარი რედაქტორი გელა გურგენიძე გვაფრთხილებს ეიფორიის შესახებ რუსეთში ქართული ღვინის მიწოდებასთან დაკავშირებით.

— არ ღირს გავზარდოთ პროცესის მნიშვნელობა, რომ შემდეგ არ ვინანოთ, თუ რაიმე არ გამოგვივა. რუსეთთან ჩვენი ეკონომიკური ურთიერთობანი განწირულია მაღალი პოლიტიკური შემადგენლობით. მოდით ასე ვთქვათ: რაც ხდება ჯერჯერობით — ეს მეტად მნიშვნელოვანია ქართული მეღვინეობისთვის, და არა მთლიანად ქართული ეკონომიკისთვის, — ამბობს გურგენიძე. — იმედი მაქვს, ჩვენი ბიზნესმენები ყველა კვერცხს ერთ კალათაში არ ჩააწყობენ.

ყურძნის ქვის საწნახელი და ჭურჭელი თიხისა და ლითონისგან, რომლებიც აღმოაჩინეს არქეოლოგებმა საქართველოში, განეკუთვნებიან III-II ათასწლეულებს ჩვენს ერამდე. 12 საუკუნის წინათ საქართველოში დაარსდა იყალთოს აკადემია, სადაც სხვა მეცნიერებებთან ერთად მეღვინეობასაც ასწავლიდნენ. „აკვნის აკვანია“ აღმოსავლეთ საქართველოს პროვინცია კახეთი — იქ წელს 150 ათას ტონა ყურძენს მოიწევენ. ოქტომბერში, თბილისობის ტრადიციულ დღესასწაულზე, მოედნებზე წურავენ ყურძენს ტრადიციული წესით — ამას აკეთებენ ქვეყანაში პატივსაცემი ადამიანები, რომლებიც გულდასმით იბანენ ფეხებს. მიაჩნიათ, რომ ეს ყველაზე ნაზი ხერხია, ამ დროს არ ზიანდება ყურძნის წიპწები. მათი ჭყლეტის დროს ღვინო მომწარო ხდება.

ИЗВЕСТИЯ

## დედამიწის ზურგზე

**იაპონიას თავს დაატყდა ძლიერი ტორნადო: დაინგრა ასობით სახლი, დაზარალდა ათობით ადამიანი**

**სტიქიის დარტყმა მიადგა იაპონიის არქიპელაგის უდიდეს კუნძულს — ჰონსიუს. გრიგალის შედეგად დაზარალდა სულ ცოტა 66 კაცი, ძირითადად საიტამასა და ტიბას პრეფექტურის მცხოვრებლები. ერთ-ერთ მამაკაცს კეფა გაუტყდა. ელექტროხაზების დაზიანების გამო ათასობით ოჯახი უშუქოდ დარჩა.**

* * *

**ამერიკელმა შეისრულა ოცნება, პირველმა გადაცურა ფლორიდის სრუტე ზვიგენებისგან დასაცავი გალიის გარეშე**

**64 წლის მცურავმა ქალბატონმა დაიანა ნაიადმა გადაცურა 177 კილომეტრი, წყალში 53 საათი გაატარა. მან სტარტი აიღო კუბაში და ცურვა დაასრულა ფლორიდის სანაპიროზე. სულ ნაიადმა ხუთი ამგვარი მცდელობა განახორციელა, მაგრამ ყველა წინა მათგანი წარუმატებელი აღმოჩნდა. ნაიადის წარმატება აღნიშნა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ.**

* * *

**თვითმფრინავის ძრავში ჩიკაგოსკენ მიმავალ გზაზე ჩიტი მოხვდა**

**ლაინერის ბორტზე 124 კაცი იმყოფებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ძრავა არ მუშაობდა, მფრინავებმა შეძლეს წარმატებით დაესვათ თვითმფრინავი აეროპორტში ჩრდილოეთ კაროლინის შტატში. დაზიანებული „ბოინგი“ დროებით მოხსნილია ფრენიდან გულდასმითი ინსპექციისა და რემონტის გამო.**

* * *

**მისისიპში დაიჭირეს ალიგატორი რეკორდული წონით**

**330-კილოგრამიან რეპტილიაზე დაახლოებით 2 საათი ნადირობდნენ — დაიჭირეს ჰარპუნზე და ესროლეს. შემდეგ კიდევ ოთხი საათის განმავლობაში ცდილობდნენ მის ათრევას ნავში: ამის გაკეთება შეძლო მხოლოდ შვიდმა კაცმა. ამ სარეწაო ქვეწარმავლებზე ნადირობის სეზონი მისისიპში 9 სექტემბრამდე გაგრძელდება.**

# ერთი უჭიშკრო სახლის გასაჭირი

**სიმართლე ერთი კი არსებობს, მაგრამ ცხოვრებაში უამრავი შემთხვევაა ისეთი, როცა სადაო საკითხზე მოქიშპე მხარეებს ამა თუ იმ გარემოებებზე საკუთარი, ერთმანეთისგან დიამეტრიულად განსხვავებული შეხედულებები აქვთ, რასაც სათანადო არგუმენტაციით ამაგრებენ. ამიტომაც არსებობს ქვეყნად სასამართლო, რომლის დამოუკიდებლობის დამადასტურებლობის თვალნათლივი საბუთი ამა თუ იმ საქმეზე მიუკერძოებელი, სამართლიანი ვერდიქტია. თუ რა ხდებოდა ბოლო წლებში საქართველოში სასამართლო, ზოგადად სამართალდამცველი სფეროში, თითოეულმა ჩვენგანმა კარგად იცის. ნაციონალური მოძრაობის უსამართლო სამართლის არაერთი მაგალითი გამხდარა საზოგადოებრივი განსჯის საგანი, თუმცა კი, როგორც მოვლენათა განვითარება გვაჩვენებს, მდგომარეობა, არსებითად, ახლაც დაახლოებით ისეთივეა, როგორიც ბოლო წლების მანძილზე იყო. ვითარების გამოსწორების გარკვეული ნიშნები კი არის, მაგრამ სამართლიანი სამართლის ბორბალს ტრიალი მაინც უჭირს, რის თაობაზე ბევრი ითქვა და, როგორც ჩანს, კიდევ ბევრი ითქმება. ამბავი, რომლის შესახებ წინამდებარე პუბლიკაციაში გვექნება ლაპარაკი, უამრავი სამოქალაქო დავისგან ბევრი არაფრით გამოირჩევა, სხვებთან მას მხოლოდ უსამართლო სამართალი აერთიანებს და კიდევ ერთი გარკვეული მომენტი, რომლის შესახებ ბოლოს გვექნება საუბარი. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, სწორედ მისი, ვთქვათ, ჩვეულებრივობაა ის განსხვავებული ნიშანი, რომლის გამოც მასზე ვილაპარაკებთ.**

სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანში კოოპერატივ „ნუკრიანის“ წარმომადგენელთა კრების 1996 წლის 16 სექტემბრის №4 ოქმის საფუძველზე სოფლის ცენტრში, ადრე კოლმეურნეობის კუთვნილი ქვითკირის გალავნით შემოღობილი 1400 კვადრატული მეტრის ტერიტორია, სადაც მშენებარე საყოფაცხოვრებო ობიექტი მდებარეობდა, საცხოვრებელ ბინად იმავე სოფლის მკვიდრს ი. შარმიაშვილს 600 ლარად მიეყიდა. იმავე კრების ოქმითვე გაუქმდა კოოპერატივ „ნუკრიანის“ მიერ ფირმა „გია დავითაშვილისთვის“ 1995 წლის 14 აგვისტოს №11 ოქმის საფუველზე ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისთვის განკუთვნილი **დროებით სარგებლობაში** გადაცემული 35 კვადრატული მეტრი მიწის ფართით სარგებლობის უფლება, რადგან აღნიშნული ადგილი უკვე ი. შარმაიაშვილის საკუთრებას წარმოადგენდა. მძიმე საოჯახო მდგომაროების გამო ახალმა მეპატრონემ მიწის ნაკვეთის შესასყიდი თანხა სრულად ვერ გადაიხადა, რის გამო კოოპერატივის დირექტორს ა. კრაწაშვილს განცხადებით მიმართა ობიექტის მისი ნათესავისთვის გოჩა ბახტურიძისთვის გადაცემის თაობაზე, რომელიც ოჯახთან ერთად ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს. (თუ რატომ აღვნიშნავთ ამ გარემოებას საგანგებოდ, ამის თაობაზე ლაპარაკი ქვემოთ გვექნება). მიწის ნაკვეთის შესასყიდი თანხის დარჩენილი ნაწილი კოოპერატივ „ნუკრიანს“ სწორედ გ. ბახტურიძემ გადაუხადა და 1997 წლის 13 მარტით დათარიღებული აქტით მისი სრულუფლებიანი მესაკუთრეც გახდა. სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ნებართვის მიღებისა და სათანადოდ დამტკიცებული პროექტის საფუძველზე 2009 წლის ივლისამდე გოჩა ბახტურიძის ნდობით აღჭურვილმა პირმა ბესიკ ბახტურიძემ, ნათესავის კუთვნილ ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოები აწარმოა: საცხოვრებელ სახლს ჭერი გადააფარა, მანსარდიანი ავტოფარეხიც ააშენა, ხოლო როცა საქმე ეზოს შემოსასვლელი ჭიშკრის დაყენებაზე მიდგა, ზემოთ ნახსენები ავტოგასამართი სადგურის მფლობელმა გ. კრაწაშვილმა განაცხადა, რომ შესასვლელი და უკვე ბ. ბახტურიძის მფლბელობაში მყოფი მიწის ნაკვეთში 90 კვადრატული მეტრის ტერიტორია... მისი საკუთრება იყო, რის თაობაზე, ცხადია, კამათი წარმოიშვა. დავის გადასაწყვეტად გ. ბახტურიძემ 2009 წლის 5 ივლისს განცხადებით სიღნაღის რაიონულ პოლიციას მიმართა, რის თაობაზე 10 ივლისს იქიდან წერილობითი შეტყობინება მიიღო, რომელშიც, კერძოდ, აღნიშნულია, რომ საკითხთან დაკავშირებით გ. კრაწაშვილმა საჯარო რეესტრის შესაბამისი ამონაწერი და ელექტრონული ვერსია წარმოადგინა, რომელიც აღნიშნული ფართის მის მფლობელობის უფლებას ადასტურებდა. სწორედ ამ დოკუმენტის საფუძველზე პოლიციის თანამშრომლებმა გ. ბახტურიძეს ეზოს შესასვლელი ჭიშკრის დაყენებაში ხელი შეუშალეს, თუმცა კი, როგორც იგი თავად თბილისის სააპელაციო და საქართველოს უზენაესი სასამართლოების, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეების, პრემიერ-მინისტრისა და იუსტიციის მინისტრის, ასევე საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა და საქართველოს ადამიანთა უფლებეათა დაცვის აქტივისტთა კავშირის სახელზე გაგზავნილ განცხადებაში აღნიშნავს (ეს უკანასკნელი მას წარმოშობილი დავის გადაჭრასა და კანონიერ უფლებათა დაცვაში კურატორობას უწევს), **2009 წლის 14 ივლისს სიღნაღის რაიონის საჯარო რეესტრის ამონაწერით გაირკვა, რომ გ. კრაწაშვილს მითითებული 90 კვადრატული მეტრის მიწის ნაკვეთის ფლობის ელექტრონული ვერსია არ გააჩნდა, ხოლო ამ უკანასკნელის არაკანონიერ ქმედებებს მისი ნათესავი, კახეთის სამხარეო პროკურორი თამაზ ცაბუტაშვილი მფარველობდა.**

სიღნაღის პოლიციის სამმართველოს მუშაკთა უკანონო მოქმედებათა აღსაკვეთად, ბ. ბატურიძემ საქართველოს მაშინდელი სახალხო დამცველის აპარატს მიმართა, რომლის ადვოკატის მ. მშვენიერაძის საქმეში ჩართვისა და გ. ბახტურიძის მიწის ნაკვეთზე საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების (კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის) წარმოდგენის შემდეგ, პოლიციამ გ. კრაწაშვილს აღუკვეთა ბახტურიძეების ხელის შემშლელი მოქმედება.

ბუნებრივია, რომ როცა ბატონმა ბ. ხატურიძემ და ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის ლიდერმა, ქალბატონმა თამარ დადიანმა ჩვენი გაზეთის რედაქციას მოაკითხეს, დავინტერესდით, თუ რის საფუძველზე აცხადებდა ფირმა „გია დავითაშვილის“ ქონების ახლანდელი მფლობელი გ. კრაწაშვილი პრეტენზიას გ. ბახტურიძის მიწის ნაკვეთის გარკვეულ ფართზე. აღმოჩნდა, რომ 2010 წლის 15 იანვარს გ. ბახტურიძის რწმუნებულმა ბ. ბახტურიძემ სიღნაღის არქივში 1996 წლის 4 ნოემბრის საფუძველზე ფირმა „გია დავითაშვილს“ ავტოგასამართი სადგურის მშენებლობის ნებართვა მოიძია, რა მიზნისთვისაც 135 კვადრატული მეტრი ფართის მიწის ნაკვეთი გამოეყო. მაგრამ **მთავარი ისაა, რომ აღნიშნულ დადგენილებაში ამ ნაკვეთის ადგილმდებარეობა – თუ სიღნაღის რაიონის რომელ სოფელში, ან რა ადგილზეა ის – საერთოდ მითითებული არ არის.** გარდა ამისა, ავტოგასამართი სადგურის მშენებლობის ნებართვა გაცემულია მშენებლობისავთის მიწების შერჩევის მუდმივმოქმედი კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილების, საგზაო სამმართველოს, საგზაო პოლიციის ქვეგანყოფილების, ბუნების დაცვის ზონალური ინსპექციის, სანეპიდსადგურის, სახანძრო დაცვის ინსპექციისა და სოფ. ნუკრიანის გამგეობის წარმომადგენლები, შესაბამისი ბეჭდებით დამოწმებული თანხმობები, რაც ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისთვის აუცილებელი პირობაა, არ ჰქონდა. 2010 წლის 18 იანვარს ბ. ბახტურიძემ სიღნაღის პროკურატურას რაიონის ყოფილი გამგებლის ვ. ცაბუტაშვილის დაკითხვის თაობაზე განცხადებით მიმართა, რომელმაც აღნიშნულ ნებართვაზე საკუთარი ხელმოწერის ნამდვილობა არც დაადასტურა, და არც უარყო იმ მოტივით, რომ თანამდებობდან მისი წამოსვლის შემდეგ მისი არაერთი ხელმოწერა გაყალბდა, რის გამო პროკურატურამ რამდენიმე პირი პასუხისგებაში მისცა. **რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ვ. ცაბუტაშვილის ამ განცხადების მიუხედავად სიღნაღის პროკურატურამ ავტოგასამართი სადგურის მშენებლობის ნებართვის ექსპერტიზა არ დანიშნა(?!).**

2011 წლის 24 ოქტომბერს ავტოგასამართი სადგურის მფლობელმა გ. კრაწაშვილმა სარჩელით მიმართა სიღნაღის რაიონულ სასამართლოს, რომლითაც გ. ბახტურიძისა და თ. ხუნაშვილისგან უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთი (**მიწის ნაკვეთი – ო. ტ.**) გამოითხოვა. ეს უკანასკნელი (თ. ხუნაშვილი) ის პირია, რომელზეც, საკუთარი ოჯახის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ანუ შარისგან თავის ასარიდებლად, გ. ბახტურიძემ 2011 წლის 4 ივლისს საცხოვრებელი სახლი გაასხვისა, თუმცა კი წარმოშობილი დავის გამო მან იგი უკვე დააბრუნა. 2012 წლის 19 მარტს სიღნაღის რაიონის სასამართლოს მოსამართლემ ი. ბონდარენკომ, გ. ბახტურიძის განცხადებით, საქმის არსებითი შესწავლის გარეშე, თ. ცაბუტაშვილის ზეგავლენით, 2/211-12 განჩინებით სადაო მიწის ნაკვეთი ავტოგასამართი სადგურის მფლობელ გ. კრაწაშვილს მიაკუთვნა. იგი ასევე იმასაც აღნიშნავს, რომ თ. ცაბუტაშვილი, რომელიც ამჟამად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეა, დიდად გავლენიანი პირია, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა იმ გარემოებამ, რომ სიღნაღის რაიონული სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილება, რომელიც მოსამართლე ი. ბონდარენკომ მიიღო, თბილისის სააპელაციო და საქართველოს უზენაეს სასამართლოებში გასაჩივრდა, **რაც მომჩივანი მხარისთვის სამართლის პოვნის მაგივრად... მის საზარალოდ დასრულდა (?!) – კერძოდ, სასამართლოებმა განჩინების კოპირების მეთოდით გ. ბახტურიძის საკუთრების უფლება კი არ აღადგინეს, არამედ წაგლიჯეს დამატებით ფართი: 90 კვადრატული მეტრიდან 170 კვადრატულ მეტრამდე გაზარდეს!!**

სამართალი თუ გინდა კაცს, ასეთი უნდა!

თუმცა შარშანდელი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როცა ქვეყანაში ვითარება შეიცვალა, ნაცმოძრაობის სამართლის წინაშე შიშმაც უკან დაიხია და 2013 წლის 13 მარტს სიღნაღის ყოფილმა გამგებელმა ვ. ცაბუტაშვილმა ნოტარიულად დამოწმებულ განცხადებაში აღნიშნა, რომ ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთი კი გამოიყო, მაგრამ ეს ადგილი არა საცხოვრებელი სახლის ქვითკირის გალავნის შიგნით (**ანუ გ. ბახტურიძის კუთვნილ ტერიტორიაზე – ო. ტ.**), არამედ მის გარეთაა. თუმცა კი, ყველაზე მთავარი ისაა, რომ გამგებელ ვ. ცაბუტაშვილს ამის გაკეთების იურიდიული უფლება არ ჰქონდა!

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, წლეულს 1 აპრილს ბ. ბახტურიძემ სიღნაღის რაიონის სასამართლოს სარჩელით მიმართა ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებისა და ადრე მიღებული გადაწყვეტილების შეჩერების მოთხოვნით, თუმცა კი 29 აპრილს №2/77-13 განჩინებით უარი ეთქვა. ამის გამო 10 მაისს მან კერძო საჩივრით უკვე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა, რომელშიც საქმის ისევ სიღნაღის რაიონულ სასამართლოს იმავე შემადგენლობით განხილვას ითხოვს.

კაცმა რომ თქვას, სამოქალაქო ქონებრივი დავების გაშუქება, ვის მხარესაც გნებავთ იყოს სიმართლე, საგაზეთო პუბლიკაციების თემატიკას, ცოტა არ იყოს, აცდენილი საკითხია, თუმცა კი, რა თქმა უნდა, არის სიმძაფრით და საზოგადოებრივი რეზონანსით, მათდამი ინტერესით გამორჩეული შემთხვევები. უძრავი ქონების შესახებ სოფელ ნუკრიანში მიმდინარე დავა და საკითხთან დაკავშირებული გარემოებები იმის გამო გამოვიტანეთ გაზეთის ფურცლებზე, რომ ბახტურიძეებს, ისევე, როგორც ჩვენი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, სასამართლოების მიმართ ნდობა, ფაქტობრივად, არა აქვთ, თუკი საქმეში ძველი ხელისუფლების დასაყრდენი კადრებია გარეული. გ. ბახტურიძის თქმით, სიღნაღის რაიონის ყოფილი პროკურორი, ამჟამად კი ქვეყნის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე სწორედ ასეთი კაცია.

**არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ნუკრიანში ქონებრივ დავას გაცილებით მძაფრად წარმოაჩენს. ზემოთ საგანგებოდ აღვნიშნეთ, რომ გ. ბახტურიძე ოჯახთან ერთად ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს და მუშაობს, როგორც ათიათასობით სხვა ჩვენი თანამემამულე. სხვებისგან განსხვავებით ბატონ გ. ბახტურიძეს ის შეღავათი აქვს, რომ გერმანიაში იგი არა საკუთარი ინიციმატივით, არამედ როგორც უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი ერთ-ერთმა სოლიდურმა ფირმამ მიიწვია სამუშაოდ. სოფელ ნუკრიანში მის კუთვნილ სახლს კი ამჟამად, სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილების წყალობით... შესასვლელიც კი არა აქვს(!!), რადგან გზა ავტოგასამართ სადგურს აქვს ჩაკეტილი. არსებული ვნებათაღელვისა და დაძაბულობის გამო ბოლო დროს გ. ბახტურიძის ოჯახი საქართველოში. ცოტა ხნით დასასვენებლად, ახლობელ-ნათესავთა და მეგობართა მოსანახულებლედაც კი ვეღარ ჩამოდის. ჰოდა, გამოდის, რომ მავანთა მცდელობით ქვეყანას კიდევ ერთი ქართული ოჯახი აკლდება ვინ იცის რა ხნით...**

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ ალიან-ჩალიანი

## სარფში ოქროს არადეკლარირებული ნივთები აღმოაჩინეს

**შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, სგპ „სარფის“ კონტროლის ზონაში 1 სექტემბერს თურქეთიდან საქართველოს მოქალაქე მალხაზ დ. შემოვიდა.**

**შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ განხორციელებული, საბაჟო კონტროლის შედეგად, მოქალაქეს არადეკლარირებული საქონელი, ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობები საერთო წონით დაახლოებით 232 გ. აღმოაჩნდა. მათ შორის: თეთრი ოქროს კოლიე ბრილიანტის თვლებით 28,77 გრ, ოქროს ჯვარი 37,56 გრ (35 ცალი), ოქროს საყურე 34,89 გრ (18 ცალი), ოქროს ბეჭედი 19,16 გრ (9 ცალი), ოქროს ძეწკვი 24,5 გრ (25 ცალი), ასევე ვერცხლის სამაჯური 87,17 გრ (15 ცალი) . შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის დასკვნის თანახმად, არადეკლარირებული ტვირთის საერთო ღირებულებამ 8770,3773 ლარი შეადგინა. საგადასახადო კოდექსის 289 მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით, მალხაზ დ-ს შეეფარდა სანქცია 8770 ლარი.**

ინტერპრესი

◎ კალათბურთი

# ევროპისთვის ჩვენი მღელვარებისა

**მაშ ასე, ევრობასკეტ – 2013 უკვე დაიწყო!**

**გუშინ სლოვენიაში კონტინენტური ფორუმის საზეიმო გახსნის ცერემონიალი მოეწყო, ხოლო დღეიდან სარბიელზე ძველი სამყაროს საკალათბურთო ელიტა გამოვა.**




რაოდენ საამაყოა, რომ მათ შორის ზედიზედ მეორედ მოხვდა საქართველოს ეროვნული ნაკრები, რომელიც ტრავმირებული ლიდერების – გუნდის კაპიტან ზაზა ფაჩულიასა და თორნიკე შენგელიას გარეშე ჩაფრინდა ქალაქ ცელიეში და მის ახლოს მდებარე კურორტ ლაშკოში დასცა ბანაკი.

ზემოთ კი გავუსვით ხაზი „ჯვაროსანთა“ საკადრო პრობლემებს, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, იგორ კოკოშკოვის განკარგულებაში დარჩენილ, წამყვან ევროპულ კლუბებში გამობრძმედილ კონტინგენტსაც შეუძლია ღირსეულად თამაში და ქომაგთა გახარება. რატომაც არა – მანუჩარ მარკოიშვილს, ვიქტორ სანიკიძეს, გიორგი ცინცაძეს, გიორგი შერმადინს, ნიკოლოზ ცქიტიშვილსა და ნატურალიზებულ ამერიკელ გამთამაშებელ რიკი ჰიკმანს ნებისმიერი მწვრთნელი ინატრებდა.

და კიდევ: ქართველ კალათბურთელებს ზურგს სწორუპოვარ თანამემამულეთა სასახელო ტრადიციებიც უმაგრებს, რომელთა ნაკვალევზეც თაობები დაიზარდნენ. ასე რომ, ქორქიების, ჯორჯიკიას, ინწკირველის, მინაშვილის, უგრეხელიძის, მოსეშვილის, საკანდელიძის, დერიუგინის, დარსაძისა და ნაცვლიშვილის სამშობლო საფუძვლიანი ამბიციებით ებმება ბალკანურ ბატალიებში. დანარჩენი მოედანზე გადაწყდება.

**„ევრო – 2013“-ის კალენდარი**

**„ა“ ჯგუფი. 4 სექტემბერი.** ისრაელი – დიდი ბრიტანეთი, ბელგია – უკრაინა, საფრანგეთი – გერმანია.

**5 სექტემბერი.** უკრაინა – ისრაელი, გერმანია – ბელგია, დიდი ბრიტანეთი – საფრანგეთი.

**6 სექტემბერი.** გერმანია – უკრაინა, ბელგია – დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი – ისრაელი.

**8 სექტემბერი.** დიდი ბრიტანეთი – გერმანია, უკრაინა – საფრანგეთი, ისრაელი – ბელგია.

**9 სექტემბერი.** დიდი ბრიტანეთი – უკრაინა, გერმანია – ისრაელი, ბელგია – საფრანგეთი.

**„ბ“ ჯგუფი. 4 სექტემბერი.** ლატვია – ბოსნია, მაკედონია – მონტენეგრო, სერბეთი – ლიტვა.

**5 სექტემბერი.** მონტენეგრო – ლატვია, ბოსნია – სერბეთი, ლიტვა – მაკედონია.

**6 სექტემბერი.** მონტენეგრო – ბოსნია, ლატვია – ლიტვა, მაკედონია – სერბეთი.

**8 სექტემბერი.** ბოსნია – მაკედონია, სერბეთი – ლატვია, ლიტვა – მონტენეგრო.

**9 სექტემბერი.** ლატვია – მაკედონია, ლიტვა – ბოსნია, მონტენეგრო – სერბეთი.

**„გ“ ჯგუფი. 4 სექტემბერი.** საქართველო – პოლონეთი (16 სთ. 30 წთ.), ესპანეთი – ხორვატეთი, ჩეხეთი – სლოვენია.

**5 სექტემბერი.** ხორვატეთი – საქართველო (16 სთ. 30 წთ.), პოლონეთი – ჩეხეთი, სლოვენია – ესპანეთი.

**7 სექტემბერი.** ესპანეთი – ჩეხეთი, ხორვატეთი – პოლონეთი, საქართველო – სლოვენია (22 სთ. 30 წთ).

**8 სექტემბერი.** პოლონეთი – ესპანეთი, ჩეხეთი – საქართველო (19 სთ. 30 წთ), სლოვენია – ხორვატეთი.

**9 სექტემბერი.** საქართველო – ესპანეთი (16 სთ. 30 წთ.), ხორვატეთი – ჩეხეთი, სლოვენია – პოლონეთი.

**„დ“ ჯგუფი. 4 სექტემბერი.** თურქეთი – ფინეთი, შვედეთი – საბერძნეთი, რუსეთი – იტალია.

**5 სექტემბერი.** ფინეთი – შვედეთი, იტალია – თურქეთი, საბერძნეთი – რუსეთი.

**7 სექტემბერი.** რუსეთი – შვედეთი, იტალია – ფინეთი, თურქეთი – საბერძნეთი.

**8 სექტემბერი.** ფინეთი – რუსეთი, საბერძნეთი – იტალია, შვედეთი – თურქეთი.

**9 სექტემბერი.** საბერძნეთი – ფინეთი, იტალია – შვედეთი, თურქეთი – რუსეთი.

**დავძენთ, რომ მეორე ჯგუფურ ეტაპზე 3-3 საუკეთესო ითამაშებს, ხოლო ჩვენი გუნდის მატჩების პირდაპირ ტელერეპორტაჟებს საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხი შემოგვთავაზებს.**

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ ვითომ?

# რუსული ბრალდება: „გვიკბინეს და წავაგეთ“

**რუსეთის ძიუდოისტთა ნაკრების წევრები, გუნდის ხელმძღვანელობა და რუსული სპორტული გამოცემები მსოფლიოს ჩემპიონ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებს ტიტულის უსამართლოდ მოგებაში სდებენ ბრალს. შეგახსენებთ, ქართველებმა ფინალში სწორედ რუსები დაამარცხეს – 3:2.**

90 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე კირილ დენისოვი, რომელსაც ვარლამ ლიპარტელიანმა ინდივიდუალურ ტურნირშიც მოუგო და გუნდურშიც, აცხადებს, რომ გუნდურ პირველობაზე ჭიდაობისას ქართველმა ძიუდოისტმა მას ფეხზე უკბინა.

თემას რუსული სპორტული საგენტოები, ცხადია, კიდევ უფრო ავრცობენ და ძიუდოს საერთაშორისო და ევროპის ფედერაციების მსაჯთა კორპუსის ხელმძღვანელებს აკრიტიკებენ, აქაოდა დარღვევა კარგად დაინახეს, მაგრამ თვალი შეგნებულად დახუჭესო.

ბრალდება წაგებით განაწყენებულთა თავის მართლებას უფრო რომ ჰგავს, ჯერ კიდევ ლიპარტელიანი-დენისოვის შეხვედრისასაც გამოჩნდა, როდესაც მსაჯებმა რუსებისგან გაპროტესტებული ეპიზოდის ვიდეოჩანაწერი რამდენჯერმე დაატრიალეს, მაგრამ მასში წესების დარღვევა ვერ დაინახეს.

და კიდევ: ბრალმდებლები რატომღაც საერთოდ არ ახსენებენ, რომ იმ მომენტში, როდესაც კირილ დენისოვის ფეხი ვარლამ ლიპარტელიანის სახესთან აღმოჩნდა, მსაჯს შეხვედრა შეჩერებული ჰქონდა. რუსი ძიუდოისტი კი, ამის მიუხედავად, მეტოქისთვის ხელზე მტკივნეული ილეთის გაკეთებას ცდილობდა.

ქართველი ძიუდოისტები ბრაზილიიდან ამაღამ დაბრუნდებიან და, სავარაუდოდ, ამ საკითხთან დაკავშირებითაც გააკეთებენ კომენტარს.

**მანუჩარ გიორგაძე**

◎ ჩოგბურთი

# რობრედომ ფედერერ-ნადალის მეოთხედფინალი ჩაშალა

**მთელი საჩოგბურთო სამყარო ამერიკის ღია პირველობის მეოთხედფინალში როჯერ ფედერერისა და რაფა ნადალის შეხვედრის მოლოდინში იყო, მაგრამ შვეიცარიელისა და ესპანელის მატჩი რაფას თანამემამულე ტომი რობრედომ „ჩაშალა“. მან სადიდსლემო ტურნირების 17-გზის ტრიუმფატორ როჯერს სამ სეტში, 7:6, 6:3, 6:4 მოუგო და თავად გავიდა მეოთხედფინალში.**

„ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს საკუთარ თავთან დავმარცხდი, ამასთან, რობრედოს თამაში საუცხოო გახლდათ. ტომი მეტად აქტიურად პაექრობდა, მატჩში გარდატეხის შეტანა ვცადე, მაგრამ არ გამომივიდა. გულგატეხილი ვარ, მეოთხედფინალში რომ ვერ გავედი, თუმცა, ასეთი თამაშით რაფასთან მოგების შანსი არ მექნებოდა. ახლა ამ წაგების სასწრაფოდ დავიწყება და კიდევ უფრო მეტი ინტენსივობით ვარჯიში მმართებს. სამომავლოდ საასპარეზო გრაფიკს არ შევცვლი და წარმატებების მიღწევას შეეცდები“, – ფედერერი ოპტიმიზმს კვლავ არ კარგავს.

აქამდე 31 წლის რობრედოს ზედიზედ 10 მატჩი ჰქონდა წაგებული ფედერერთან და კარიერაში როჯერის პირველად ძლევის შემდეგ, ცხადია, სიხარულს ვერ მალავდა: „ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელს მოვუგე, რის გამოც ბედნიერი ვარ. როდესაც კორტზე გავდიოდი, ტრიბუნებზე სიჩუმე იყო, ხოლო როცა როჯერი გამოჩნდა, აპლოდისმენტმა იქუხა. შეხვედრისას საკუთარი ბრეიკ-პოინტები გამოვიყენე, როჯერმა კი ეს ვერ მოახერხა. წლეულს კასაბლანკას ტურნირის მოგებამ საკუთარი შესაძლებლობების რწმენა განმიმტკიცა. იმედია, წარმატებულ ასპარეზობას განვაგრძობ“.

რობრედოს სამეოთხედფინალე მოწინააღმდეგე მოლოდინისამებრ რაფა ნადალი იქნება. 27 წლის ესპანელმა გერმანელ ფილიპ კოლშრაიბერს 6:7, 6:4, 6:3, 6:1 მოუგო. რაფამ 2 საათისა და 52 წუთის განმავლობაში 5 ბრეიკი, 3 ეისი შეასრულა და კოლშრაიბერთან პირადი შეხვედრების ანგარიში 10:1 გახადა.

და ბოლოს, ისევ ფედერერზე. 2002 წლიდან მოყოლებული პირველად როჯერი დიდი სლემის ვერცერთი ტურნირის ფინალში ვერ გავიდა. შეგახსენებთ, წლეულს ავსტრალიის ღია პირველობაზე შვეიცარიელი ნახევარფინალში დამარცხდა, „როლან გაროსზე“ მეოთხედფინალს უწია, უიმბლდონზე მეორე წრეში წააგო, ამერიკის ღია ჩემპიონატს კი მერვედფინალში გამოეთიშა. 3 სეტში ფედერერს 2002 წლის შემდეგ არ წაუგია.

**გიორგი შოთაძე**

◎ ინტერნეტიდან

# მარტინ პალერმოს ეშხიანი სატრფო

**ვეტერანი არგენტინელი ფეხბურთელი მარტინ პალერმო მაშინ, როდესაც ბურთს ევროპის კონტინენტზე, კერძოდ კი ესპანეთში აგორებდა, მის შესახებ ერთ-ერთმა ესპანურმა „ყვითელმა“ ჟურნალმა დაწერა, რომ თითქოს მარტინი ჰომოსექსუალია და მას ქალები საერთოდ არ აინტერესებს.**

მაშინ მარტინ პელერმომ ლამის „მახვილით“ გაილაშქრა ჭორების გამავრცელებლებზე და ყველას არწმუნებდა, რომ სექსუალური უმცირესობის წევრი არასოდეს ყოფილა. თუმცა, იმის გამო, რომ პალერმოს ოფიციალური სექსუალური პარტნიორი ქალი კარგა ხანი არ ჰყოლია, ეჭვები მაინც ეჭვებად რჩებოდა.

ამჟამად მარტინ პალერმოს საყვარელია ცნობილი არგენტინელი ტელეწამყვანი ჯესიკა ჯენეი, რომელიც ვეტერან არგენტინელ მობურთალს დაახლოებით ორი წელიწადია ხვდება და, როგორც ცნობილი გახდა, წყვილი დაქორწინებასაც აპირებს. ალბათ მავანნი მარტინ პალერმოზე ჭორების გავრცელებას ახლა მაინც დაანებებენ თავს.

**როსტომ რაჭველიშვილი**

◎ ცოცხალი ლეგენდა

# უსეინ ბოლტის „ენერგეტიკული დანახარჯი“

**ლეგენდარულ მძლეოსანთა დიდების პანთეონში იამაიკელმა სპრინტერმა, არაერთგზის მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა უსეინ ბოლტმა ღირსეული ადგილი სპორტული კარიერის დასრულებამდე დიდი ხნით ადრე დაიმკვიდრა. ამდენად, გასაკვირი სულაც არ არის, რომ მის ფენომენს არა მარტო სპორტის სპეციალისტები, არამედ მეცნიერებიც იკვლევენ.**

მექსიკის ეროვნული ავტონომიური უნივერსიტეტის მკვლევარებმა 2009 წელს ბერლინის მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე უსეინ ბოლტის მიერ 100 მეტრზე სირბილში დამყარებული მსოფლიო რეკორდის – 9,58 წამის – ძირითადი ენერგეტიკული პარამეტრების გაანალიზება შეძლეს. საამისოდ მეცნიერებმა

ვიდეოჩანაწერი გამოიყენეს, რომელზეც სპორტსმენის მდგომარეობა წამის ყოველ მეათედში იყო აღბეჭდილი.

გაირკვა, რომ **რეკორდსმენმა საათში 43,5 კილომეტრის სიჩქარე განავითარა, მთელ გარბენზე 81,58 კილოჯოული ენერგია დახარჯა, ხოლო 3,5 ცხენის ძალის მაქსიმალურ სიმძლავრეს პირველსავე წამზე მიაღწია, რა დროსაც მაქსიმალური სიჩქარის ნახევარზე ავიდა. მათემატიკურმა მოდელმა აჩვენა, რომ ენერგიის დიდი ნაწილი – 92 პროცენტი – ბოლტმა პაერის წინააღმდეგობის დაძლევას მოანდომა.**

გამოკვლევის ერთ-ერთი ავტორის ხორხე ჰერნანდესის თქმით, ყველა დადგენილი მაჩვენებელი სარეკორდოა, თუმცა კი განსაკუთრებით აეროდინამიკურს გამოყოფენ. საქმე ისაა, რომ 195 სანტიმეტრის სიმაღლის, მძლავრი ათლეტური აღნაგობის ბოლტი სირბილის დროს საშუალო ადამიანზე გაცილებით დიდ აეროდინამიკურ წინააღმდეგობას აწყდება. მას რომ საკუთარი აეროდინამიკური მახასიათებლების გაუმჯობესება შეეძლოს, გაცილებით უფრო სწრაფად ირბენდა.

– დედამიწის ზედაპირთან ახლოს ჰაერი ზედა ფენებისაზე გაცილებით მკვრივია, ამიტომ მისი წინააღმდეგობის დასაძლევად დიდი ენერგიის დახარჯვაა საჭირო, – ამბობს პროფესორი ჰერნანდესი.

სხვათა შორის, მექსიკელმა მათემატიკოსებმა ბოლტის „რეაბილიტირება“ შეძლეს – ბევრს მიაჩნდა, რომ 2009 წელს მის მიერ დამყარებული რეკორდი არც მთლად სამართლიანი იყო: იმ დროს ბერლინში მორბენალს წამში 0,9 მეტრის სიძლიერის ზურგის ქარი უბერავდა. რამდენად წაეხმარა ეს ქარი სპრინტერს? – კითხულობენ სკეპტიკოსები.

მექსიკელთა მიერ შემუშავებულმა მათემატიკურმა მოდელმა აჩვენა: **რომ არა ზურგის ქარი, 100-მეტრიან დისტანციას ბერლინში ბოლტი 9,68 წამში გაირბენდა, რაც 0,1 წამით მაინც უკეთესია, ვიდრე 2008 წლის პეკინის ოლიმპიადაზე მის მიერვე დამყარებული მსოფლიო რეკორდი.**

ამასთან, ბერლინში ზურგის ქარი არა წამში 0,9, არამედ წესებით დაშვებული წამში 2,0 მეტრი რომ ყოფილიყო, დისტანციას უსეინ ბოლტი 9,46 წამში დაფარავდა!

**ირმა ირემაშვილი**

## ◎ როგორ ვცხოვრობთ?

# უსამართლო ტარიფების ქვეყანა

**საძართველოს ევროპისადმი სწრაფვა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერთა „ნოუ-ჰაუ“ რომ არ არის, ყველას კარგად მოეხსენება, თუმცა კი ქვეყანაზე, მთლიანად სამხრეთ კავკასიაზე აღმოსავლეთის გავლენა მუდამ ძლიერი რომ იყო, არც ესაა დაფარული და მუდამ თვალში საცემი იყო.**

დასავლეთის ცხოვრების, ეკონომიკის მართვის, საზოგადოებრივი და მუნიციპალური ორგანოებისა და ა.შ. მოწყობის წესის პრიორიტეტი ჩვენში ფეხის ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა, თუმცა კი ამასთან დაკავშირებით ყველაფერი ისე როდია, როგორც იმ „დავარცხნილ“ ქვეყნებში, რომელთა თანამეგობრობის სრულფასოვან წევრობას ასე გულმოდგინედ ვცდილობთ. ქვეყნის დასავლური ორიენტაცია ეჭვს ნამდვილად არ იწვევს, თუმცა კი ევროკავშირის ღირსეულ წევრობისთვის მთელი რიგი აუცილებელი წინაპირობაა შესასრულებელი, რომელთაგან ერთ-ერთი უპირველესი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ყოფის გაუმჯობესებაა. ამის დაპირება მუდამ გვესმის, თუმცა კი ყველა დონის არჩევნების ჩავლის შემდეგ, ფაქტობრივად, ყველა ხელისუფლებაში მისი შესრულება თანდათან უკანა პლანზე იწევს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა პრობლემის ერთბაშად გადაჭრა და, შესაბამისად, მდგომარეობის უმალ გამოსწორება არავის შეუძლია, მათ შორის არც კოალიცია „ქართული ოცნების“ მთავრობას, რომელიც ამ მიმართულებით გარკვეულ, საკმაოდ მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს, ბევრი საკითხი მაინც დიდ დაბნეულებას იწვევს მოსახლეობაში. ეს, კერძოდ, ეხება **მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეთა გაუმართლებლად მაღალ ხელფასებს, მთელ რიგ შემთხვევაში კოალიციის წარმომადგენელთა ისეთ ქცევას, რაც მის მომხრეებს ლამის მოწინააღმდეგეებად აქცევს, ძველ თანამდებობებზე აშკარად არაკეთილსინდისიერ მოხელეთა დარჩენას, რომლებიც თავიანთ გაფუჭებულ-ჩაბინძურებულ საქმეებს ისევ თვითონვე „არჩევენ“, ასობით ჯერაც უსახლკარო იძულებით გადაადგილებულ ათასობით პირს, მაღალ კომუნალურ გადასახადებს, უამრავ სხვას.** ახლა ლაპარაკია კიდევ მმართველ კოალიციაში არსებულ ფარულ დაპირისპირებაზე ცალკეულ წევრებს შორის, რამაც პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ შესაძლოა აშკარა ოპოზიციონერობის სახე მიიღოს... მოკლედ, შარშანდელი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებიდან ერთი წლის თავზე ქვეყნის მოსახლეობა კვლავაც მეტად რთული, იქნებ უფრო მეტად მწვავე გამოწვევების წინაშე დგება, რომელთა გაუმკლავებლობა, როგორც ჩანს, საზოგადოებას მეტად არასასურველ შედეგს მოუტანს.

ამ, ასე ვთქვათ, არამშვიდ სოციალურ-პოლიტიკურ ფონზე მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის მთავარი საზრუნავი კვლავაც თვიდან თვემდე საკუთარი თავისა და ოჯახის გატანის საკითხია. ეს სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა, მიუხედავად რამდენიმე სერიოზული სასიკეთო ძვრისა, კერძოდ, საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის მეორე ეტაპის ამოქმედებისა, მთელი რიგი საავადმყოფოს ისევ სახელმწიფო მართვაში გადასვლისა და პენსიების მომატებისა, მოსახლეობის დაბალი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე კვლავინდებურად დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ხალხის თავს. საარსებო მინიმუმზე, რომლის რეალურ ყოფასთან სრული შეუსაბამობის თაობაზე ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არაერთგზის გვქონია ლაპარაკი, თუმცა კი მისი რეალური მეთოდიკით გადაანგარიშებას საშველი არა და არ დაადგა. აქედან გამომდინარე, სექტემბრიდან 25 ლარით გაზრდილი 125-ლარიანი პენსია იმ უბადრუკ საარსებო მინიმუმსაც ვერ უტოლდება, რომელის ამჟამად ქვეყნის მოსახლეობისთვისაა დადგენილი.

160-ლარიან საარსებო მინიმუმთან, მის დრომოჭმულ, შეუსაბამო მეთოდიკით ანგარიშთან და თუნდაც პენსიებთან „აცდენასთან“, ბანკებიდან სესხების მაღალ განაკვეთებთან, იპოთეკარებთან კაბალურ პირობებთან ერთად, მოსახლეობას მაღალ კომუნალურ, ზოგჯერ ისეთ არასამართლიან გადასახადების პრობლემებთანაც აქვს საქმე, როგორიცაა, ვთქვათ, ეგრეთ წოდებულილ „112“ გადასახადი. ეს უკანასკნელი ინებარცაა მოსატანი იმ მტკივნეულ საკითხთა შორის, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, რადგან მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორი კომპანიების თითოეული მომხმარებელი ფიზიკური პირისგან, ვინც თვეში ხუთ ლარზე მეტს ხარჯავს ყოველთვიურად 20 თეთრის, ხოლო იურიდიული პირისგან 50 თეთრის აკრეფა არავის გააღატაკებს, მაგრამ საქმე, არსებითად, ისაა, რომ ესაა ნაციონალების ხელისუფლების მიერ მიღებული ერთ-ერთი სრულიად არაარგუმენტირებული და არასამართლიანი გადაწყვეტილება, რომელიც დღესდღეობითაც ძალაშია. **საგანგებო სიტუაციების სამსახურის, ასე ვთქვათ, „თანადაფინანსების“ ისეთი მახინჯი ფორმა, როგორიც დღესდღეობით ჩვენში მოქმედებს, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს!** არადა, 2002 წლიდან, ევროკავშირის საბჭოს საგანგებო დირექტივის შესაბამისად (სხვათა შორის, თავად საგანგებო სიტუაციების სამაშველო სამსახურის შექმნა მისივე გადაწყვეტილებით ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნისთვის სავალდებულო გახდა), **ეს მომსახურება მოსახლეობისთვის უფასოა.** აქვე ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ ამ გადასახადის სრულ ალოგიკურობას ისიც ცხადყოფს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მობილური კავშირგაბმულობის აბონენტებისგან თანხების ჩამოჭრა შარშან 1 იანვრიდან დაიწყო, თავად სამსახური კი მხოლოდ... ხუთი თვის შემდეგ ამოქმედდა (?!).

რაც შეეხება მაღალ კომუნალურ გადასახადებს, მათი შემცირების რესურსი ნამდვილად არსებობს, თუმცა კი, ცხადია, არა ისეთი, რომელსაც მოსახლეობას ზოგიერთი პოლიტიკური ძალა ჰპირდება თავისი წმინდა წყლის ვირტუალური გამარჯვების შემთხვევაში, ამიტომ მათ განხილვას არ შევუდგებით. გაზის ტარიფთან დაკავშირებით ამჟამად მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ იმის გათვალისწინებით, რომ 2008 წლიდან მოყოლებული საქართველო მხოლოდ აზერბაიჯანის მიერ მოწოდებული ამ ენერგოშემცველით მარაგდება, თუმცა კი, როგორც საქმეში ჩახედული ხალხი, კერძოდ, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის პრესსამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი, ამჟამად დანიური საკონსულტაციო სამსახურის ხელმძღვანელი ნინო ასათიანი აცხადებს, **ორ ქვეყანას შორის დადებული სამთავრობო ხელშეკრულების შინაარსი არა თუ ფართო საზოგადოებისთვის, არამედ სპეციალისტებისთვისაც კი უცნობია (?!),** ხოლო გაზის მიწისქვეშა საცავების საკითხი დღემდე ჰაერშია გამოკიდებული გაურკვეველი მიზეზების გამო, რომელთა შექმნა ფასის დაბალანსების, მისი შემცირების შესაძლებლობას მისცემდა მთავრობას. სხვადასხვა გაანგარიშებით, ლაპარაკი რეალურად 6-7თეთრზეა, რაც გაჭირვებული მოსახლეობისთვის, რომელიც წლის ცივ დროს გაზით თბება, ძალიან დიდი შელავათი იქნებოდა.

ტარიფის შემცირების თვალსაზრისით დაახლოებით ისეთივე მდგომარეობაა ელექტროენერგიასთან დაკავშირებითაც. საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში, ექსპერტების აზრით, მსჯელობის საგანი, უწინარესად, ტარიფში ასახული სადისტრიბუციო კომპანიების, კერძოდ, „თელასლის“, „ენერგო-პროსა“ და „კახეთის“ წილები უნდა გახდეს, რომელთა ოდენობა მათ მიერ გაწეულ დანახარჯებთან აშკარად შეუსაბამოა.

გარდა აღნიშნულისა, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წყალმომარაგების კომპანიამ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ მოსახლეობის გამრიცხველიანების პროცესი საკმაოდ აქტიურად დაიწყო, ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ ახლო მომავალში სასმელი წყლის ფასის მომატებასაც უნდა ველოდოთ, თუმცა კი სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ამის თაობაზე, ჯერჯერობით მაინც, ლაპარაკი არ არის.

**ამდენად, როგორც ვხედავთ, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის შესამსუბუქებლად მთავრობასაც, პარლამენტსაც, კერძოდ, მის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს, ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, სხვებს, უამრავი სამუშაო აძვთ გასაკეთებელი — საძმე ხელისუფლებაში მოსვლამდე დანაპირებთა გაცემა კი არა, მათი შესრულებაა.**

ოთარ მერიშვილი

**პედიატრიის ინსტიტუტი ალერგიისა და რევმატოლოგიის ცენტრი იუწყება ჩვენი თანამშრომლის, თამარ მღებრიშვილის დედის**

**ლეილა მღებრიშვილის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

## ◎ გვეკითხებიან — ვუპასუხებთ

### ზედმეტი წონა — ზედმეტი უბედურებანი

**ვიწონი 120 კილოგრამს. და ამ დროს ძალიან მინდა დედა გავხდე. რამდენს არ ვცდილობთ ჩემი ქმარი და მე, მაგრამ ვერ დავორსულდი. ექიმები მირჩევენ დავიკლო წონაში. დამეხმარება ეს დაფეხმძიმებაში?**

*თიკა გ. თელავი*

*გვიპასუხებს ექიმი-ენდოკრინოლოგი ანიკო შავიშვილი:*

**— დიახ, დაგეხმარებათ. ზედმეტი წონა, თავისთავად, არ იწვევს უნაყოფობის პროვოცირებას, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ უნაყოფობა, რომელიც განვითარდა წონის მომატების ფონზე, მეორადია. მთავარი მიზეზი დაორსულების შეუძლებლობისა ზედმეტი წონის ქალებისთვის — ესაა, როგორც წესი, საკვერცხეების პოლიკისტოზის არსებობა. ამ დაავადების დროს ქალებს არ აქვთ ოვულაცია ( კვერცხუჯრედების მომწიფება).**

**წონის დაკლების ფონზე შესაძლებელია ოვულაციის აღდგენა და ფეხმძიმობის დაწყება. მინდა აგრეთვე აღვნიშნო: ახლა კიდეც რომ დაორსულდეთ, თავად ბავშვის მუცელში არსებობის პერიოდს თქვენი ზედმეტი წონის ფონზე შეიძლება თან ახლდეს ბევრი საფრთხე. უწინარეს ყოვლისა, იზრდება ფეხმძიმობის თვითნებური შეწყვეტის რისკი, და ამას გარდა, იზრდება ნაყოფის პათოლოგიიის რისკიც. ამიტომ, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გახდეთ.**

### რეკორდები საჭირო არ არის

**მაძვს დიდი წონა. დავჯექი დიეტაზე და ერთ თვეში მთელი 7 კილოგრამი დავიკელი. ცოლი მეუბნება, რომ ასე სწრაფად გახდომა საზიანოა ჯანმრთელობისთვისო. მაგრამ ჩემი წონისთვის 7 კილოგრამის დაკლება შეუმჩნეველიც კია!**

*არჩილი, ფოთი*

*გვიპასუხებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატილ ინა ჩიხლაძე:*

**— გახდომის უსაფრთხო ნორმა — არა უმეტეს 5 კილოგრამია თვეში. ხდება, რომ დიდი წონის ადამიანები იკლებენ მეტს, მაგრამ გახდომის პროცესი ამ შემთხვევაში, როგორც წესი, ხდება არა ცხიმის, არამედ სითხის დაკარგვის გამო. არ უნდა დავისახოთ მიზნად ამოცანა — „გავხდეთ სიჩქარეზე“. მეტაბოლიზმის პროდუქტები ხომ, რომლებიც წარმოიქმნებიან გახდომის პროცესში, ხვდება სისხლში, რაც აიძულებს ღვიძლს, თირკმელებს, გულსა და სხვა შინაგან ორგანოებს იმუშაონ გაცვეთამდე.**

### საღად შევინარჩუნოთ მეხსიერება

**მოვისმინე, რომ ალცჰეიმერის დაავადება მეხსიერების გაუარესებით იწყება. მეკი ამ ბოლო ხანებში ყველაფერი მავიწყდება. როგორ შევიმოწმო თავი, რომ გამოვარკვიო, ხომ არ მაქვს ეს დაავადება?**

*კლარა აგლაძე, წულუკიძე.*

*გვიპასუხებს ექიმი-ნევროპათოლოგი პაატა ნიშნიანიძე:*

**— ალცჰეიმერის დაავადება — დემენციის ყველაზე გავრცელებული ფორმა — უფრო ხშირად უვლინდებათ 65 წელზე უფრო ხნიერ ადამიანებს, მაგრამ შეიძლება უფრო ადრეც განვითარდეს იგი, რომელიც მართლაც თანდათანობით ვითარდება. ჯერ ჩნდება დამახსოვრების მოშლილობა და მეხსიერების დაქვეითება. ერთმანეთში ეშლებათ წარსული და თანამედროვეობა. ირღვევა ორიენტირება დროში. ირღვევა წარმოდგენა მოვლენების დროის თანმიმდევრობაზე. არის მეტყველების მოშლილობა, ქვეითდება მოძრაობითი ფუნქციები. უარესობისკენ იცვლება ხასიათი. ავადმყოფი ხდება უხეში, ეგოისტური ან აპათიური და უმოქმედო. შესაძლებელია ბოდვები ან ჰალუცინაცია, დეპრესიები.**

**დიაგნოსტიკის მთავარი მეთოდია —დაწვრილებითი ანალიზის შეგროვება და ინტელექტუალური ფუნქციების ტესტირების მოწყობა, მათ შორის მეხსიერებისაც, აგრეთვე ფსიქოლოგიური ტესტირება.**

**რომ დაგამშვიდოთ, გეტყვით, რომ მეხსიერების დაქვეითების მიზეზი შეიძლება სულაც არ იყოს ალცჰეიმერის დაავადება, არამედ ბევრი სხვა რამეც. მაგალითად, ტვინის სისხლძარღვთა ათეროსკლეროზი, სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენება, მოწევა, სტრესები და ა.შ. მისდიეთ ცხოვრების აქტიურ წესს, ამოხსენით კროსვორდები, დაუკარით მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, ისწავლეთ ენები, მეტი ურთიერთობა გქონდეთ ადამიანებთან, მიაქციეთ ყურადღება კვებას, და თქვენი მეხსიერება აუცილებლად გაუმჯობესდება.**

## ◎ ინფორმაცია

### ქარიშხალმა ჩაჟაშის მაცხოვრის ეკლესიის სახურავი დააზიანა



**ზემო სვანეთში, უშგულის თემის სოფელ ჩაჟაშში, ქარიშხლის შედეგად, ჩაჟაშის მე-10 საუკუნის მაცხოვრის ეკლესიის სახურავი მთლიანად დაზიანდა.**

**კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ადგილზე სპეციალისტები უკვე გაგზავნა, რომელიც ძეგლის დაზიანების მასშტაბსა და მოცულობას იკვლევს.**

**ფრესკების გადაუდებელი დაცვის მიზნით, სამუშაო ჯგუფმა ტაძარი დროებითი ტენტით გადახურა. იმისთვის, რომ მოახლოებულმა ზამთარმა ტაძრის ფიზიკური სიმყარე და ინტერიერში არსებული ფრესკების მდგომარეობა არ დაამძიმოს, ძეგლზე გადაუდებელი გადახურვის სამუშაოები წელსვე განხორციელდება.**

**ჩაჟაშის მაცხოვრის ეკლესია უძველესი არქიტექტურის გარდა, გამორჩეული და თავისებურია მე-17 საუკუნის ფრესკებით და მის ფასადზე გამოსახული ამირანდარეჯანიანის მხატვრობით.**

◎ დღესასწაული

# მარიამ ღვთისმშობლის ქართული სასწაულმოქმედი ხატი

**4 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი წმინდა სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მარიამ ღვთისმშობლის ხატის ხსენებას.**

**...გული მოწყალებითა და მადლიერებით გვევსება, როდესაც ღვთისმშობლის წმინდა ხატების გამოსახულებებს ვუმზერთ. გამოსახულებებში მოჩანს უფლის უსაზღვრო სიყვარული ადამიანებისადმი.**

ჩვენ, ქართველები ვგრძნობთ, რაოდენ დიდია ზეციური დედოფლის მზრუნველობის ნიშანი ჩვენს ქვეყანაზე.

ქართული სასწაულმოქმედი ხატი არხანგელსკის ეპარქიაში კრასნოგორის მონასტერში იმყოფება. მის შესახებ არსებობს ცნობა, 1622 წელს, როცა შაჰ-აბასმა საქართველო ააოხრა, სპარსელებმა ჩვენგან მრავალი წმინდა ნივთი გაიტაცეს, მათ შორის იყო ქართული ხატი. იმჟამად სავაჭრო საქმეთა თაობაზე გაგზავნილმა ლიტკინის დამკვეთმა, ლაზარევმა იყიდა ღვთისმშობლის ხატი. თურმე ამ დროს ლიტკინს ეუწყა და ებრძანა, რომ ირანში ნაყიდი ხატი შეეწირა არხანგელსკის ეპარქიისათვის.

საგულისხმოა, 1698 წელს დათარიღებულ სიგელში ნათქვამი: „ქართული ხატის შემწეობით ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი უწინ და დღესაც მრავალ სასწაულსა და კურნებას აღუსრულებს ყველას, ვინც მას სარწმუნოებით მიმართავს“.

ქართული სასწაულმოქმედი ხატის ზუსტი ასლი მოსკოვის მღვდელმთავარ ალექსი მიტროპოლიტის მონასტერშია დაბრძანებული.

**გიული ლიპარტია**

◎ დაიჯესტი

## მსოფლიო ჩინეთს ეცნობა

**2004 წლიდან მოყოლებული, ჩინეთმა მსოფლიოს 104 ქვეყანაში კონფუცის 350 ინსტიტუტი გახსნა, რომელთა დანიშნულებაა ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაცია.**

აღსანიშნავია, რომ 2020 წლისთვის ჩინეთის მთავრობა ამ ტიპის კულტურის ცენტრების რიცხვის ათასამდე აყვანას აპირებს. ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ ბიბისის ჩამნაცვლებელი ჩინეთის საინფორმაციო სააგენტო სინხუა აფრიკის უკვე 47 ქვეყანაში მუშაობს.

## შევიდეთ, პური ვჭამოთ!

**ცნობილია, რომ მსოფლიოში ყველაზე სარფიანი ოფიციალური ბიზნესია ნავთობით ვაჭრობა, რომელსაც მოსდევენ ძვირფასი ლითონებით და პატიოსანი თვლებით, აგრეთვე უძრავი ქონებით ვაჭრობის სფეროები.**

ამ სამეულს კი კვალდაკვალ მისდევს რესტორნების ბიზნესი, სადაც კაცობრიობა წლის მანძილზე ორ ტრილიონ დოლარს ხარჯავს! ამ საქმის მცოდნეების თქმით, ეს ის დარგია, რომლისთვის არანაირი კრიზისი საშიში არ არის, რადგან კაცს ჭამა ყოველთვის უნდა. აღსანიშნავია, რომ ამ ბიზნესში ლიდერია ამერიკის შეერთებული შტატები, რომელსაც მოსდევს ევროპა და შემდეგ – აზია.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ არალეგალური ბიზნესის მხრივ, პირველ ადგილზეა მსოფლიოში იარაღით უკანონო ვაჭრობა. მეორე და მესამე ადგილებზე კი მოგების მხრივ არის ნარკოტიკებით და ადამიანებით ვაჭრობა.

## კოქტეილების კოქტეილი

**დიდ ბრიტანეთში სცადეს... მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული კოქტეილის გაკეთება.**

ლონდონის საუკეთესო ბარმენის სალვატორე კალაბრეზის მიერ დამზადებულ ამ სასმელს „სალვატორეს მემკვიდრეობა“ ეწოდება. მისი ინგრედიენტების სახელწოდებები ჩვენთვის, პრინციპში, არც არაფრის მთქმელია, მაგრამ, ვფიქრობთ, ერთგვარად არაამქვეყნიურ ჰანგებად ჟღერს. ესენია, კერძოდ, **1770 წლის მოსავლის ტკბილი ლიქიორი „ქუმელი“, 1860 წლის ლიქიორი „დაბ ორენჯ კიურასაო“, 1778 წლის კონიაკი „ქლოს დე გროფიე ვიო“, 1990 წლის მწარე ნაყენი „ანგოსტურა“.** როგორც ხედავთ, ბატონებო, ოთხიდან სამი ინგრედიენტი ამერიკის შეერთებულ შტატებზე უფრო „ასაკოვანია“, გემოც, ალბათ, განსხვავებული აქვს, თუმცა ჩვენ ამას ვერასდროს გავიგებთ: ამ ჯადოსნური ნარევის ერთი ულუფა 8 800 დოლარი ღირს (დუბაიში დამზადებული წინა რეკორდსმენი კოქტეილის ულუფა 6 ათასი დოლარი ღირდა).

აღსანიშნავია, რომ რეკორდის დამყარება მხოლოდ მეორე ცდიდან შეძლეს: პირველი ცდა წარუმატებელი იმის გამო იყო, რომ ბარმენს 7830 დოლარის ღირებულების კონიაკის ბოთლი გაუტყდა.

## მოსაწყენი სიახლოვის დასაძლევად

**კანადელი მედიკოსები ამჟამად პრეპარატს ცდიან, რომელიც ქალებში... სექსუალურ ლტოლვას აძლიერებს.**

წამალს სპრეის სახით გამოუშვებენ. ვარაუდობენ, რომ ამ სპრეის ხმარება სასიყვარულო პაემანამდე რამდენიმე საათით ადრე უნდა. პრეპარატის შემადგენლობაში ტესტერონი შედის, მისი დამმუშავებლები კი აცხადებენ, რომ იგი არა მარტო სექსუალურ ლტოლვას აძლიერებს, არამედ ორგაზმის მიღწევასაც ხელს უწყობს. მისი დანიშნულებაა იმ ქალებისთვის დახმარების გაწევა, ვისთვისაც სექსუალური სიახლოვე რუტინულ მოვალეობად იქცა.

## კბილის ძველისძველი ბჟენი

**ეგვიპტეში მეომრის თავის ქალა აღმოაჩინეს, რომლის ერთ-ერთი კბილი თანამედროვე მეცნიერთათვის უცნობი მასითაა „დაპლომბილი“.** ანალიზით კი დადგინდა, რომ მეომარი ბრძოლის ველზე 2300 წლის წინათ დაიღუპა. აღნიშნავენ ასევე დასაბჟენი მასალის მაღალ ხარისხს (რასაც, ცხადია, მისი ასაკიც ადასტურებს) და ძველი სტომატოლოგის ოსტატობის მაღალ დონეს.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

## ვაშინგტონ-ვაზეთებიდან

### ვანოს მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა...

**ვანო მერაბიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, აცხადებს მისი ადვოკატი გიორგი ჩივიაშვილი და სასჯელაღსრულების სამინისტროს თხოვნით მიმართავს, რომ მერაბიშვილთან სამოქალაქო საავადმყოფოს ექიმების შეყვანა მოხდეს, ან ახლობლებს მიეცეთ მერაბიშვილის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გადაყვანის უფლება.**

**როგორც ჩივიაშვილმა აღნიშნა, ვანო მერაბიშვილს გულთან დაკავშირებით პრობლემები აქვს და მიუხედავად იმისა, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამედიცინო პერსონალი გამოკვლევებსა და მკურნალობას აწარმოებს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდება.**

**„ალია“**

### ნაციონალები თამბაძოს გაძვირებას აპროტესტებენ

**თამბაძოსა და თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა ნაციონალურმა მოძრაობამ, სადაც ნათქვამია, რომ მოქალაქეების ნაწილი, რომელიც მოიხმარს ასეთი ტიპის პროდუქციას, იძულებული იქნება გადავიდეს უფრო იაფფასიან და, შესაბამისად, ჯანმრთელობისთვის მეტად საზიანო თამბაქოს ნაწარმზე. შედეგად მოქალაქეებს, რომელთათვისაც თამბაქოზე დამოკიდებულება თავისთავად წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას, სახელმწიფო კიდევ უფრო ურთულებს მდგომარეობას მოხმარებული პროდუქციის ფასის გაზრდით.**

**„ახალი თაობა“**

### რკინიგზის ტვირთბრუნვამ 13 პროცენტით იკლო

**„საქართველოს რკინიგზას“ ტვირთბრუნვა მკვეთრად შეუმცირდა. 2013 წლის იანვარ-ივლისში „საქართველოს რკინიგზა“ 10267777 ტონა ტვირთს მოემსახურა, რაც 2012 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე 1,37 მლნ ტონით ნაკლებია. ეს ნიშნავს, რომ ამ პერიოდში რკინიგზის ტვირთბრუნვამ დაახლოებით 13 პროცენტით დაიკლო. რკინიგზაზე არსებულ მდგომარეობის შემცირებას დარგის სპეციალისტები რამდენიმე მიზეზით ხსნიან. მათი ერთი ნაწილი ამას გლობალურ ბაზარზე მიმდინარე პროცესებს უკავშირებს, მეორე ნაწილი კი ტვირთბრუნვის შემცირებას „საქართველოს რკინიგზაში“ დასაქმებულების არაპროფესიონალიზმით ხსნიან.**

**„რეზონანსი“**

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

**– შენი რძალი კარგი დიასახლისია?**
**– აბა როგორ გითხრა... კვერცხებს კონსერვის გასახსნელით ხსნის.**

* * *

**– აიღე კრედიტი?**
**– არ მომცეს!**
**– გრაფა „შემოსავალში“ რა ჩაწერე?**
**– 4-5 მობილური თვეში...**

* * *

**– ჩვენი ფირმა მოლარეს ეძებს.**
**– ხომ აიყვანეთ მოლარე ერთი კვირის წინ?**
**– აი სწორედ მაგას ვეძებთ.**

* * *

**სტადიონის შესასვლელში:**
**– ბიჭუნა, სად იშოვე ბილეთი ასე ძვირადღირებულ მატჩზე?**
**– მამაჩემმა იყიდა.**
**– თვითონ სად არის?**
**– სახლში. ბილეთს ეძებს...**

* * *

**თუ გასუქების გეშინიათ, ჭამის წინ 50 გრ კონიაკი დალიეთ - შიშის გრძნობა გაგიქრებათ.**

* * *

**– მამიკო, მე რომ შენხელა ვიქნები, შეიძლება რაც მინდა ის გავაკეთო?**
**– არა შვილო, მაშინ უკვე ცოლი გეყოლება.**

* * *

**– ჭიჭიკია აქ ცხოვრობს?**
**– არა.**
**– კაცო, შენ ჭიჭიკია არა ხარ?**
**– მე კი ვარ, მარა ეს ცხოვრებაა?**

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24